

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
ღმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილება

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL STUDIES
DMANISI HISTORICAL-ARCHAEOLOGICAL DEPARTMENT

ჯუმბერ კოპალიანი
JUMBER KOPALIANI

ქვეშის ციხე
KVESHI FORTRESS

(ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)



გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი 1999
TBILISI 1999

63.3(2Г)

947.922

კ 741

ქვემო ქართლში ქვეშის ციხე შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძლიერი და ლამაზი ციხე-სიმაგრეა. ნაშრომში წარმოჩენილია ციხის ისტორია ადრეული შუა საუკუნეებიდან დაწყებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. წერილობითი და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შესწავლილია აქ გამავალი გზები, ციხის თავდაცვითი სისტემა, საცხოვრებელი, საკულტო, სამეურნეო და სხვა ნაგებობები.

რედაქტორი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ბიორბი რჩეულიშვილი,

რეცენზენტი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
ქეთევან ქუთათელაძე,

„Bolnisi Mining Operations“ are pleased to contribute to the publication of this book. As we enter the new millennia with high hopes for the future we should learn from the past. „Bolnisi Mining Operations“ in investing in the Bolnisi Region through „Trans Georgian Resources“ and „Quartrite“ Ltd.

„ბოლნისი მაინინგ ოპერეიშნზ“ მოხარულია, რომ შესაძლებლობა მიეცა წვლილი შეეტანა ამ წიგნის გამოცემის საქმეში.

ახალ ათასწეულში მომავლის დიდი იმედებით შემავალთ წარსულიდან გემართებს სწავლა.

„ბოლნისი მაინინგ ოპერეიშნზ“ „ტრანს ჯორჯიან რეზორსეზისა“ და შპს „კვარციტის“ საშუალებით ახორციელებს ინვესტირებას ბოლნისის რაიონში.

© ჯ. კობალიანი, 1999

შესავალი

უახლოეს მომავალში ქვეშის ციხეც მოექცევა მნახველთა (ტური-ისტთა) ფართო წრის ყურადღების ცენტრში, რადგან იგი უშუალოდ ჯმანისისაკენ მიმავალ მთავარ ტრასასთანაა აღმართული. ღმანისში ი, როგორც უკვე საყოველთაოდაა ცნობილი, აღმოჩნდა ევრაზიაში ყველაზე უძველესი ადამიანის ადგილსამყოფელი და თვით ადამიანი - „Homo erectus“-ი, რომელიც 1,8 მილიონი წლით თარიღდება. ეს ი ამ რეგიონში ტურიზმის განვითარების უდიდეს პერსპექტივებს ახავს.

ქვემო ქართლის შუა საუკუნეების თავდაცვით სისტემაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ქვეშის ციხეს. იგი მდებარეობს დ. მაშავერას მარჯვენა სანაპიროზე. სოფ. ქვეშში (ბოლნისის რაიონი) და ყველა მხრიდან ძალზე ლამაზ ხეღს ქმნის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა საკითხების კვლევისას ქვეშის იხეს არაერთი მკვლევარი შეეხო. მათ შორის აღსანიშნავია ექვთიმე აყაიშვილი (სომხით-საორბელოს წარწერები, თსუ შრომები, ტ. 43, 351), ლევან მუსხელიშვილი (არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 341), გივი ჯამბურია (ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955) და განსაკუთრებით დევი ბერძენიშვილი (არქევეები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბილისი, 379), ცალკე სტატია მასზე ჩვენც გამოვაქვეყნეთ (ქვეშის ციხე, ჰეგლის მეგობარი“, N1/100/1998).

ჩვენი კვლევის სფეროშია მოქცეული ქვემო ქართლის ციხე-შაგრები და ამიტომ, შესაძლებლობის ფარგლებში, გარკვეული უცულობის არქეოლოგიური გათხრები ჩავატარეთ როგორც თვით უხოს, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. შედგენილია ციხის ტოპოგრაფიული არქეოლოგიური გეგმები; მომზადდა ციხის საერთო ხელებისა და

მისი ცალკეული ნაწილების ფოტოანაბეჭდები; ჩაიხატა ცალკეული ორნამენტიანი ქვები და სხვა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სოფ. ქვეშის მცხოვრებლებს არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობისათვის. ასევე დიდ მადლობას ვუხდის ხელოვნებათმცოდნე მერაბ ბოჭოიძეს, ტოპოგრაფ ვახტანგ მასხარაშვილს, არქიტექტორებს: ავთანდილ ფერაძეს და ნემო ჩიკაშუას, მხატვარ გრიგოლ კვატაშიძეს და ფოტოგრაფ გოგი გიორგობიანს მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის.

ქვეშის ციხე და მისი წარსული

„ყველამ კარგად შეიტყვეით,
რომ ქვეში თავის მაზრებიანად ჩემია“.

გრიგოლ ორბელიანი

ქვემო ქართლში შუა საუკუნეების ერთ-ერთი ძველი, ძლიერი და ლამაზი ციხე-სიმაგრე იყო ქვეშის ციხე, რომელიც მაშავერას ხეობაში, თბილისიდან სომხეთისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე, მესამოცე კილომეტრზე მდებარეობს.

„ქვეშის ციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰაეითა და თუალთათეს მშუენი“ (1.316); „...თავთ (ვარდან დადიანი – ჯ.კ.) ქვეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უენებელსა“ (3.49).

ძალზე მნიშვნელოვანი ცნობაა ქვეშის ციხის შესახებ. მემატიანე აღნიშნავს იმას, რომ ციხე მტრის ხელით ძნელად ასაღებია, თითქმის აუღებელიაო – „მტერთაგან უენებელი“. როგორც ჩანს, ამან განაპირობა ის, რომ ისეთი დიდი მოხელე, ერთ-ერთი ძლიერი წარჩინებული, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, ფაქტიურად მთელი დასავლეთ საქართველოს მფლობელი, თავის რეზიდენციად ქვეშის ციხეს ირჩევს (მის ხელში იყო კაენისა და ორბეთის ციხეები).

ქვეშის ციხე მდებარეობს მდ. მაშავერას მარცხენა სანაპიროზე. უფრო ზუსტად იქ, სადაც ამ მდინარეს უერთდება პატარა შენაკადი – გეტი. ერთი შეხედვით გეგონება ერთიანი მასიური, უზარმაზარი ლოდი, რომელზეც გაუშენებიათ ეს ციხე (ტაბ. I, II, III).

ქვეშის ციხეს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი უკავია. აქედან ჩანს ვრცელი ტერიტორია კაზრეთიდან დაწყებული ტანძია-ღისველის ჩათვლით. (ტაბ. V).

გარკვეულ პერიოდში ქვეშის ციხე მაშავერას აუზის ცენტრდაც იქცა (2.45), უფრო ზუსტად, ადრე შუა საუკუნეებში IX-X საუკუნეებამდე, როცა ამ ხეობაში აშენდა ძლიერი ციხე-ქალაქი დმანისი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეშის ციხე ქვემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე იყო, რომელიც მის ცენტრში მდებარეობდა და მას სტრატეგიულთან ერთად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ესეც იყო, ალბათ, გათვალისწინებული ვარდან დადიანის მიერ, როცა მან რეზიდენციად ქვეშის ციხე შეარჩია.

IX-X საუკუნეებში გრძელდებოდა ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისათვის. არაბთა ბატონობა, მიუხედავად ბულათურქის ამოხრებელი ლაშქრობისა, მაინც თანდათან სუსტდებოდა. თუ ადრე თბილისის ამირა მთლიანად ქვემო ქართლსაც ფლობდა, X საუკუნის ბოლოს იგი სომეხი ბაგრატუნიანების ხელში მოექცა (6.8).

სომეხთა ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომხეთის სამეფო აღადგინა (დელაქალაქი ანისი), თავისი სამფლობელოს საზღვრების გასაფართოებლად ჩრდილოეთისაკენ მოისწრაფოდა და ქართლის დაპყრობას ლაშობდა... პირველ რიგში ხელში ჩაიგდო ტაშირი („ქართველთა ველი“ (7.19-20). ხოლო შემდგომში სომეხთა ბაგრატუნიანებმა თითქმის მთელი ქვემო ქართლი დაიჭირეს (მათ შორის ქვეშის ციხეც და მისი ტერიტორიაც – ჯ.კ.) და ცენტრად, საჯდომად, სამშვილდე გაიხადეს (8.131).

სომეხთა მესვეურები ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს მხარეში საფუძვლიანად დამკვიდრებულიყვნენ. ამ მიზანს ემსახურებოდა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გასომხება, ე.ი. სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევა, რაც „მკვიდრ საფუძველს შეუქმნიდა სომეხ ფეოდალთა ბატონობას. ახპატი, სანაინი, ზოჟორნი და სხვები საამისოდ იღვწოდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა: შუა საუკუნეების ქართული წყაროები ამ ქართულ ქვეყანას „სომხითს“ უწოდებენ, რაც მომხდარის შინაარსეული ცვლილების გამომხატველი იყო (ე.ი. „სომხური სჯულის“ ხალხი ჭარბობდა). მაგრამ სომხური წყაროები ამ ქვეყანას (ქართლის ამ მხარეს – ჯ.კ.) ასე ვერ უწოდებენ, რადგანაც მათთვის აშკარაა, რომ გაჩიან-გარდაბნის

ქვეყანა სომხეთი არაა და ისევ სხვა გეოგრაფიული სახელი – „ჩრდილო მხარეები“ – მიუსადაგეს (9.84).

საჭიროდ მიგვაჩნია, ცოტა რამ ვთქვათ ქართველთა მხარის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, სომხურ ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში, სადავო ტერიტორიად გამხდარა და რომლის შესახებ გულისტკივილით აღნიშნავს თვით ცნობილი სომეხი მეცნიერი, პროფესორი ლეონ მელიქიეთ-ბეგი: „ჩრდილო მხარეები“ – სომხური მწერლობის ნომენკლატურით – გახლავს ის ტერიტორია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სადავო იყო საქართველოსა და სომხეთს შორის და რომელსაც ქართველები ჩვეულებრივ „ქვემო ქართლს“ უწოდებენ (10.18).

XIII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი შეეხო ამ მხარეს: „და განუყო თარგამოს სამკვიდრებელი თვისი ძეთა თვისთა და მისცა ქვეყანა სომხეთისა საზღვრებით თვისით სრულიად ჰაოსსა, ხოლო ჩრდილო კერძო მისცა ქართლოსსა და სხვათა ძმათა (11.24) და ეწოდა ქვეყანასა მას (ქართლს – ჯ.კ.) ხუნანითგან ვიდრე სპერისა სახელად ქართლი (11.25).

ასეა თუ ისე, ცნობილია, რომ „ჩრდილო მხარეებად“ უნდა იგულისხმებოდეს მთელი გოგარენე, ანუ ქვემო ქართლი პერეთის სამხრეთის ნაწილებითურთ, რომლებიც XVIII საუკუნეში ბორჩალოს (სომხით-ლორე-ტაშირის) და ყაზახ-შამშადილის სახელით იყვნენ ცნობილი (10.17).

ამას გულისხმობს პავლე ინგოროყვა, როცა აღნიშნავს: „გაუქმებას საჭიროებენ არა ეს საისტორიო წყაროები, არამედ ის შემცდარი და ტენდენციური კონცეფცია, რომელიც დამახინჯებით წარმოგვიდგენს ისტორიულ ჭეშმარიტებას“ (12.416).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სომეხი არქიმანდრიტის ანდრია ტერ-ყაზარიანცის წერილი, დაბეჭდილი 1860 წელს ჟურნალ „კისკარში“, სადაც ერთ ადგილას წერს: „ვიწოდებთ აწ ჰაი თეუ ქართულით ენით ჰაოსიანი, თუმცა იყვნენ ეგრეთნი გლეხნი ქართველნი, არ იცნობდნენ არარატიის მთას და თვით ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის მხარეს (დებელას ხეობა – ჯ.კ.) და ჩუენ ქვეყანას სცნობდნენ თავიანთ სამხრეთის კერძოთ, ამა მიზეზითა გამო თავიანთ ენაზედ ჩუენს ქვეყანას უწოდეს სომხეთი“ (13.28).

საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვარი მცირე კავკასიონის ქედს, ბამბაკის (იგივე ერევნის) მთებს მიუყვებოდა, რომელიც იყო მთავარი წყალგამყოფი ქედი, კერძოდ, მტკვარსა და არაქსს შორის.

1783 წელს საქართველოს მიერ რუსეთთან ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით ცნობილი) დადების ჟამსაც საქართველოს სამხრეთის საზღვრად კვლავინდებურად ერევნის ანუ, როგორც ეხლაა მიღებული, „ბამბაკის მთები“ ყოფილა (7.26). ეს იმას ნიშნავს, რომ უძველესი დროიდან ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ საზღვარს თავისი ტრადიციულობა არ დაურღვევია, მიუხედავად იმისა, თუ დროდარო ვისი გავლენის ანდა პოლიტიკური ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა ეს ტერიტორია (14.10).

აი, ეს საზღვარი გადმოლახა ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში პირველად სომხეთის სახელმწიფომ და ქართული მიწების დიდი ნაწილი მიიტაცა (15.395).

„სტრაბონის გოგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოებით ჭოჭკანს, ბოლნის-დმანისს, ლოქის ხეობას, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკური მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდ იყო ხოლმე შემოხაზული, ქართული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი“ (7.16).

I-III საუკუნეებში ეს მხარე ხან სომხეთის ხელში იყო, ხან იბერიისა. IV საუკუნისათვის სომხეთი თანდათან დასუსტდა და 387 წელს ორ სამეფოდ გაიყო, ხოლო სულ მალე ამ სამეფოების დამოუკიდებლად არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთმა და ბიზანტიამ გაინაწილა. სომეხთა ამგვარმა დაუძღურებამ გოგარენის ბედი გადაწყვიტა, საქართველოს იგი ხანგრძლივი ვადით დაუბრუნდა (15.225).

აკად. ივ. ჯავახიშვილი და ლ. მუსხელიშვილი იმოწმებენ გერმანელ მეცნიერს კ. ჰიუბშმანს, რომლის აზრით, გუგარქი (გოგარენე) ეთნოგრაფიულად ყოველთვის იბერიული იყო და რომ ამ მხარის

მხოლოდ სამხრეთი ნაწილების (ტაშირი და სხვ.) გასომხება არის საგულვეტელი აღნიშნულ ხანაში (16.235; 275-276).

მარი ბროსე ფიქრობდა, რომ გუგარქი თავდაპირველად ქართული პროვინცია იყო (17.46). ამიტომ ამბობს ლ. მუსხელიაშვილი – „როგორც ჩანს, სომხეთის ძეგლობელობას აქ დიდი გავლენა არ უნდა ჰქონოდა, მაშავერას ხეობაში ამ ხანის სომხური მატერიალური კვალი არ მოიპოვება“ (18.22). თუმცა, „იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, ამ კუთხეში სომეხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა“ (7.18).

Vსაუკუნეშიც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის მეფობაში, გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა (15.222). „გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდგომში მომხდარმა უბედურებამაც გამოააშკარავა, როდესაც სპარსთა მიერ 532 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ, ასეთი უკიდურესი გაჭირვებისა და პოლიტიკური ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს საზღვრებში შედიოდა. VII საუკუნის დამლევისაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა, რომელიც ამ ორი ერის ეკლესიების სრული განხეთქილებითა და განშორებით დამთავრდა, იგი კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა“ (7.18). საქართველოს ამ პოლიტიკური დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიაც რომ გუგარეთი მართლა კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით VII საუკუნეში შედგენილი სომხურივე საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს საქართველოს ხელში იყო (7.18).

VII საუკუნიდან მოყოლებული სომხეთიცა და საქართველოც არაბთა ბატონობის ქვეშ ექცევიან და საზღვრების რაიმე გადაკეობას, შეცვლას ადგილი არ ჰქონია. დაარსდა თბილისის საამირო, რომელშიც შედიოდა გუგარეთიც. იგივე ქვემო ქართლი (14.16).

როგორც თავიდან აღვნიშნეთ. X საუკუნეში ეს მხარე მთლიანად და ქვემოც სომეხთა სამეფოს ხელში მოექცა. „ამგვარად ეს სომეხთა

მორე იერიში იყო საქართველოს სამხრეთის საზღვრების გადმოსაღებად და ქვენა ქართლის, ყოფილი გუგარეთის დასაპყრობად“ (7.20).

ვერც სომეხთა მიერ ამ მორეგზის დაპყრობამ შეცვალა ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი, თუმცა, მართალია, თავიანთი მფლობელობის დროს სომეხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შექმნეს, რასაც თავის დროზე სომეხთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; თვით დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით მოსახლეობაშიც სომეხთა შედარებით უფრო უნდა გაძლიერებულიყო, მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა. ამიტომაც XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, ლეონტი მროველს, ქართლის საზღვრად აღნიშნული აქვს: „აღმოსავლეთ ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი, სამხრით მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა“ (3.4).

„საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკურ მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ X საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნისდმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფო ტერმინი მარტო ქართულად და ქართულ მწერლობაში იხმარებოდა: სომეხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდნენ, პირიქით, ისინი ლორეტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ (7.21) „ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული: რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობის მიუხედავად, თვით ქვეყანას სომეხებიც თავისთავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდნენ“ (7.21).

XI საუკუნის შუა ხანებში ქართველთა მეფემ ბაგრატ IV-მ სომეხთა ბატონობას ამ მხარეში ფაქტობრივად ბოლო მოუღო, წაართვა მათ სატახტო ქალაქი სამშვილდე და ამით ორი საქმე გააკეთა: თბილისის ამირას (თბილისი ჯერ კიდევ არაბი ამირას ბატონობის ქვეშაა) ზურგიდან მოუარა, წაართვა რა ქვემო ქართლის ციხეები, ამით

მაჰმადიანურ სამყაროსთან დამაკავშირებელი გზები გადაუჭრა; მეორე მხრივ კი სომეხთა ბატონობაც მოსპო (14.12).

„ამგვარად, ამ „სომხითის“ დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენიც საქართველოს მოხარკეებად იქცნენ“ (7.22). თუმცა, XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ლორეს ციხეს „სომხითის ციხეს“ უწოდებს. „ამასვე წელსა (1118 წ. – ჯ.კ.) აღიღო (დავით აღმაშენებელმა – ჯ.კ.) სომხითისა ციხე ლორე“ (19.335). ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ლორე სომხებისაგან გაათავისუფლა საქართველოს დიდმა მეფემ, არამედ თურქ-სელჩუკებისაგან. „ამგვარად დავით აღმაშენებელმა 1118 წელს გააუქმა მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაშირ-ზორაკერტის სამეფო და მისი ტერიტორია საქართველოს შემოუერთა“ (67.36).

„ამერიდან მოყოლებული მთელი ეს კუთხე, საქართველოს სამხრეთი ნაწილი, და თვით „სომხითი“ საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომხებს არასდროს აღარ სჭერიათ“ (7.22).

სხვათა შორის, ტერმინი „სომხითი“ მონაცვლეობს ტერმინთან „სომხეთი“. მაგ., „ქართლის ცხოვრებაში“ „სომხითის ციხეა“ ლორე, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანში – „სომხეთის ციხე-ქალაქი ლორე“. ორივე ერთსა და იმავეს ნიშნავს“ (20.44-45). დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღების შესახებ ცნობის გადაღებისას მთარგმნელს თავისი თვალსაზრისიც გამოუმჟღავნებია და ლორე სომეხთა ციხე-ქალაქად გამოუცხადებია (20.45),

X საუკუნის დამლევს და XI საუკუნის დამდეგს „ტაშირი და ქართველთა ველი, ბოლნის-დმანისის ხეობანი“ სომეხთა ხელში იყო. ამ დროს გაძლიერებულა აქ სომხური ელემენტი და ამ დროსვე უნდა დამკვიდრებულიყო ბოლნის-დმანისის მხარისათვის სახელწოდება „სომხითი“, რომელიც XI საუკუნიდან გვხვდება ისტორიულ წყაროებში (21.330).

„სომხითის“, როგორც ტერმინსა და ამ ტერმინის ქვეშ მოაზრებულ ტერიტორიას, საგანგებოდ შეეხო ქვემო ქართლის ცნობილი მკვლევარი დეკი ბერძენიშვილი, რომელმაც შეაგროვა და გააანალიზა ქართული და არაქართული წერილობითი ცნობები და ასეთი დასკვნა

გააკეთა: „სომხითი“ ქვემო ქართლს შეერქვა ტაშირ-ძორაგეტის მეფეთა იქ გაბატონების შემდეგ. შეიძლება ვიფიქროთ, თავიდან იგი ეწოდა ქვემო ქართლის ერთ ნაწილს. ძირითადად სამფლობელოს სომეხი კვირიკიანებისას – ტაშირ-ძორაგეტს, ე.ი. მღ. დებუდას აუზს. აქვე იყო მათი მთავარი სავანეები – ოძუნი, ახპატი, სანაინი... შესაძლოა, ამასვე გულისხმობდა არსენი საფარელის „სომხითი“, რომლის სომხურენოვან მრევლს იგი „ნაწილსა სომხითისასას“ უწოდებს.

„კვირიკიანთა პოლიტიკურ ექსპანსიას ჩრდილო და აღმოსავლეთის მიმართულებით მოჰყვა ცნებების გაფართოება, რამაც შემდეგ მთელი ქვემო ქართლი მოიცვა. განვითარებული ფეოდალური ხანის „სომხითარი“ (სომხითის მცხოვრები) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტერმინიცაა, რომელსაც გაერთიანებულ საქართველოში შემავალი ამ მხარის ქართულ თუ არაქართულ მოსახლეობას ერთნაირად უწოდებდნენ“ (2.41). „XV საუკუნის შემდეგ „სომხითის“ ცნება თანდათან ვიწროვდება და XVII საუკუნის II ნახევარში თითქმის თავის თავდაპირველ მნიშვნელობას იღებს; ამასთანავე არის გამონაკლისებიც, როცა მთელი ქვემო ქართლი ძველებურად „სომხითად“ იწოდება, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის (2.41).

XI საუკუნეში სომეხთა სამეფო გაუქმდა. ეს იყო თურქ-სელჩუკთა და, საერთოდ, წინა აზიაში მომძლავრებული თურქ-მაჰმადიანური გაერთიანებების მხრიდან ბიზანტიის, სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. თვით სომხური მოსახლეობაც ძალზე შეავიწროვეს „და მათი სარწმუნოებრივი და ეროვნული გრძობაც იმდენად შელახულ იყო, რომ მათი საუკეთესო სალოცავი კათოლიკე ეკლესია ანისში მიზგითად იყო გადაკეთებული... ამიტომაც იყო, რომ სომხობა ასეთი სიხარულით ვეგებებოდა საქართველოს სამხრეთისაკენ ძლევაშემოსილ წინსვლას... რასაც მაჰმადიან მმართველთა აუტანელი და თავმოყვარეობის შემლახველი ძალმომრეობისაგან ხსნა მოჰქონდა“ (7.23).

„სწორედ ამ დროს, დავით აღმაშენებლის, დიმიტრი I. გიორგი III და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში არზრუმის სულტანს მოახრევეინა ქედი, ხოლო სპარსეთში ყაზვინამდე და გურგანამდე მიაღწია, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული.

სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი არ არის, რომ ქ. ანისის კულტურულად და შოქალაქობრივად უაღრესი აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დრო იყო. უეჭველია საქართველოს ძველამოსილმა წინსვლამ სამხრეთისაკენ სომეხთა ერს საუკეთესო საშუალება მისცა თავისი ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინა და მომავალ განსაცდელთან საბრძოლველდაც მოლონიერებულიყო“ (7.24). „სახელმწიფოდაკარგული სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მშობლიურად თელიდნენ“ (22.53).

ძლიერ ქვეყანას თავდაცვითი ნაგებობებიც სათანადო დონეზე ჰქონდა აგებული. ამის ნათელი მაგალითია ქვეშის ციხე. იგი განვითარებულ შუა საუკუნეებში ძალზე მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს XII საუკუნის დასასრულს ერთ-ერთი ძალზე საინტერესო ფაქტი, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ. კერძოდ, ქვეშის ციხე XII საუკუნის 80-იან წლებში ვარდან დადიანის რეზიდენციას წარმოადგენდა. „ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი, ლიხთ აქა პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქა ნიკოფსიამდის უცილობლად ქონებისა, და თავთ ქუეშის ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა“ (3.49).

მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქვეშის ციხე, როგორც ქვემო ქართლის სხვა ციხეები, ვარდან დადიანს ჩამოართვეს. ყოველივე ამის გამო, ასეთ საინტერესო ცნობასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლით, სრულად წარმოვადგინოთ აქ ის მოვლენები, რითაც ხასიათდებოდა დროის ის მონაკვეთი, რასთან დაკავშირებითაც არის აღნიშნული ცნობები მოტანილი თამარის ისტორიკოსებთან. როგორც ცნობიდან ჩანს, ვარდან დადიანს თამარისაგან ჰქონია ბოძებული ქვეშის ციხესთან ერთად ქვემო ქართლის მეტად მნიშვნელოვანი ციხეებიც, ორბეთისა და კაენისა.

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1184 წელს საქართველოს მეფედ აკურთხეს მისი ქალიშვილი თამარი. გამეფებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სამეფო კარზე დაისვა თამარის დაქორწინების საკითხი. დიდგვაროვანი ფეოდალები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ მეფე, უნდოდათ, მის

საქმროდ შეერჩიათ მათთვის სასურველი პიროვნება. მაგრამ იყო მეორე ჯგუფიც, რომელიც მეფის გაძლიერებას უჭერდა მხარს. საქმროს შერჩევას „...არც ერთი ჯგუფი თამარის სურვილს, როგორც ჩანს, თავისთვის სავალდებულოდ არ თვლიდა (4.160). „თითოეული ჯგუფი ცდილობდა მეორე ჯგუფის საწინააღმდეგოდ სხვა კანდიდატი შეერჩია... ასე, რომ სამეფო საქმრო რომელიმე დაჯგუფების გავლენის ქვეშ უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა“ (4.170). „ასეთ ვითარებაში გამეფებული გიორგი რუსი (თამარის პირველი ქმარი – ჯ.კ.), გასაგებია, გარკვეული წრეებისათვის იქნებოდა უპირატესად სასურველი, ხოლო სხვებისათვის არასასურველი“ (4.160).

ჩვენ ამჟამად არ დავიწყებთ იმაზე მსჯელობას, თუ რა მოტივებით, რა ძალების საშუალებით მოხდა თამარის დაქორწინება რუს უფლისწულზე (ამაზე უკვე ზემოთაც ითქვა), ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ის კონკრეტული მიზეზები, რის საფუძველზეც მოხდა თამარსა და გიორგი რუსს შორის გაყრა-განქორწინება.

თამარსა და გიორგი რუსს შორის განხეთქილება და შემდეგ გაყრა, ჩვენი აზრით, მხოლოდ ვიწრო, ოჯახური, ცოლისა და ქმრის, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მიზეზებით გამოწვეულ ფაქტად გვევლინება (66.169). ამ აზრს ეთანხმება მკვლევარი ჯ. სტიფენაძეც (67.111).

მართალია, ზოგადად როგორც ქორწინება, ისე გაყრის საკითხიც მეტ-ნაკლებად გარკვეულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქორწინებაც და გაყრაც მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით არის ახსნილი. ჩვენი აზრით კი პოლიტიკური მოტივებით მხოლოდ ქორწინება შეიძლება აიხსნას (66.163).

თამარის ორივე ისტორიკოსი გაყრის მიზეზად ერთხმად თვლიან გიორგი რუსის როგორც მამაკაცისა და ქმრის უარყოფით თვისებებს – სმისმოყვარეობა-ლოთობა, ცუდი ზნე; „სოლომური“ სენი – „მამათმავლობა“, რისთვისაც ის საქართველოდან გააძევეს.

სამწუხაროდ, თამარის ისტორიკოსებს განქორწინების საკითხში ჩვენი ისტორიოგრაფები ზედმეტ ტენდენციურობას აბრალებენ, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. თუქცა, არც ის იქნებოდა დანაშაული, თუ ზოგიერთ და, განსაკუთრებით, გაყრის საკითხში ისინი თამარის

ისარეს დაიკავებდრენ. მაგრამ, შეიძლება ითქვას, მათ ასეთი „ტენდენ-
ციურობაც“ უნდა მოეხსნათ.

შუა საუკუნეების ქართული ოჯახი ქორწინებისა და გაყრის
აკითხვებში როგორც ქართულ ტრადიციულ, ისე ქრისტიანული რე-
ლიგიის მკაცრ ნორმებს ემორჩილებოდა. ვინც უნდა ყოფილიყო ის,
ფეჟე. ფეჟეოდალი თუ გლეხი, ყველა, როგორც ერთი, ემორჩილებოდა
მ ნორმებს (66.169). ეს რომ ასე იყო, ამას თვით თამარის გამონათქ-
ამიცი ადასტურებს: „დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ
არ მე არ განშორებად პირველსა საწოლსა“ (3.121).

ასეთი ფაქტორების იგნორირება ისტორიული მოვლენების ახსნი-
ას გაუმართლებლად მიგვაჩნია (66.169).

თამარის ისტორიკოსების ობიექტურობა იმაშიც ჩანს, რომ რაც
კადებითი ჰქონდა გიორგი რუსს, ამას აღნიშნავენ კიდევაც. მაგ., მას
იავი გამოუჩენია ლაშქრობებში. ერთ-ერთი ლაშქრობა, რომელიც
სარმატებით დამთავრდა, იყო განძასა და მის მიმდებარე ტერიტორი-
ზე, მასთან ერთად თავი ისახელა მსახურთუხუცესმა ვარდან დადი-
ნმა, რისთვისაც თამარ მეფემ მას და მის შვილს ივანეს ქვემო
ართლის მნიშვნელოვანი ციხეები უბოძა. არ არის გამორიცხული,
რომ თამარი გარკვეულწილად ცდილობდა მოემადლიერებინა ვარდან
დადიანი (შეიძლება გრძნობდა, ან ინფორმაცია ჰქონდა თამარს მასზე).
დასავლეთ საქართველოს შესვეურები გაღიზიანებულები ჩანან: თამა-
რის გამეფების შემდეგ „ძირძველები, განსაკუთრებით დასავლეთ
საქართველოდან, უკმაყოფილონი იყვნენ იმ ფაქტიური მდგომარეო-
ბით, რომელიც შექმნილიყო საქართველოს მეფის კარზე, როცა უმაღლეს
ეკლესიათა მნიშვნელობის სიმბოლის ცენტრი აღმოსავლეთ საქართველო-
ში გადმოდიოდა, როცა აშკარა გახდა ტენდენცია, რომ სამეფო კარს
ჯეს-სვალ საბოლოოდ ხელთ იგდებენ ერთგულ-გაზრდილები აღმო-
ავლეთ საქართველოდან. შიდა და ქვემო ქართლიდან, ჰერეთ-კახ-
ეთიდან... ხოლო ეს უკანასკნელი მოვლენა კანონზომიერი შედეგი
ყოფიდა საქართველოს განკითვრებისა. დავით აღმაშენებლის დროიდან
შეკარა გახდა აღმოსავლეთის უპირატესობა და აფხაზთა მეფე (ლიხ-
თიმერეთის და, თუ გნებავთ, ტაო-კლარჯეთის მეფე) სულ უფრო და
უფრო ქართლ-კახეთს და მის მიმდგომ ქვეყნებს ირჩევს ცენტრად.

ტფილისის შემოერთებას ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა... ასე რომ, ტფილისის ერთგულება მეფისადმი იმავე საფუძველს ემყარებოდა, რასაც ემყარებოდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდებული ერთგულება: დავითის დროიდან მოკიდებული საქართველო არსებითად სხვა სახელმწიფო იყო მის წინა დროის საქართველოსთან შედარებით. ის, დასავლეთის ორბიტაში ამოზრდილი ქვეყანა, აღმოსავლეთისაკენ პირშექცეული შეიქმნა და სხვარიგად არც შეიძლებოდა; საქართველო ამიერ (და იმიერ) კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოვიდა და თბილის-ქართლ-კახეთ-ჰერეთის გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიან საქართველოში გარდაუვალი შეიქმნა. უფრო სწორი იქნება საკითხი პირშექცევით დაისვას: ქართლის (შიდა და ქვემო), კახეთის (კახეთ-ჰერეთის) ეკონომიურმა დაწინაურებამ ამ კუთხეების მნიშვნელობა შედარებით დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობასთან განუზომლად გაზარდა. და გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ცენტრი აქეთ გადმოვიდა. ქუთაისმა და არტანუჯმა, როგორც პოლიტიკურმა ცენტრებმა, თავისი დრო მოჰყამეს, პროვინციული მნიშვნელობისად დარჩნენ. ახალი ქვეყნის ცენტრი თბილისი და მისი მიმდგომი ქართლ-კახეთ-ჰერეთი იყო“ (4. 167-168).

მიუხედავად იმისა, რომ თამარმა ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ციხეები ვარდან დადიანსა და მის შვილს უბოძა, მაინც ვერ მოხერხდა თამარის წინააღმდეგ აჯანყების თავიდან აცილება, რომელსაც ფორმალურად თამარის ყოფილი ქმარი, გიორგი რუსი ხელმძღვანელობდა, ფაქტიურად კი ამ აჯანყებას თვით ვარდან დადიანი წინამძღოლობდა.

„აშკარაა, რომ ვარდან დადიანს ჰქონდა რაღაც საფუძველი, რომ მთელი ქვეყანა (დიდებულნი და ლაშქარნი) აგრე ადვილად აუჯანყა თამარს და სოსლანს. მარტო მსახურთუხუცესობით, ერისთავთ-ერისთავობით თუ მეფეთა ადგილზე მჯდომობით ის ამას ვერ შეძლებდა... მთელი დას. საქართველოს მაღალი ფეოდალური საზოგადოება გამოუკლებლივ (გარდა ანტონი საღირისძისა) რუსის მხარეზე დადგა. ამის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან თითქმის ასეთივე ერთსულოვნებით თამარის

და სოსლანის მხარეზე აღმოჩნდნენ“ (4.166). ამის ყველაზე რეალური ახსნა აკად. ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოტანილ ციტატაშია მოცემული (4.167-168).

თუ როგორ დაიწყო აჯანყება და რით დამთავრდა ის, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ თამარის ისტორიკოსის მიერ მონათხრობი: კარნუქალაქში რუსთან შეთქმულებს „პირველად მიერთო გუზან პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა და დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა, აქით ბოცო, სამცხისა სპასალარი და სისრულსაცა აღმატებით შეწყალებული, სხვათა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ თვსიერ ივანე ციხისჯვარედისა, რომელსა ყუარყუარცა ეწოდების, ესე და მაგრადა თვსითურთ მოკიდულითურთ, ვითარ გუარეყოდაცა მოძღონებელსა სულსა ერთგულობისასა, რომელ ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგრაატს. ვარდან დადიანი, მსახუროუხუცესი, ღიხთ აქით პატრონი ორბეთისა და კაენისა. ღიხთ-იქით – ნიკოფსიამდის უცილობლად ქონებისა; და თვე ქუეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა. ესე მცირედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი. საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან ხანიგთა და ქაშაგთაგან აფიცა რუსისა გამეცებისა და მისი მეფე-ყოფისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი.

გავზავნა ლაშქარნი ქუეყანისანი და მივიდეს გუზანისად. მუნით წარმოვიდა რუსი და შეყრილთა მიჰმართეს სამცხესა და მიეგება ბოცო და ვინცა მისი მიმდგომი იყო. გარდა მკლელნი მათისანი, მივიდეს გეგუთს“ (3.49-50).

აქ მოხსენებული „გუზან ტაოელი“ დადიანების გვარის წარმომადგენელი ყოფილა (67.113). მკვლევარი ჯ. სტეფენაძე ამასთან დაკავშირებით წერს: „გუზან ტაოელი აბულასანის შვილია. ეს აბულასანი კი, როგორც უკვე ითქვა, დადიანის გვარის წარმომადგენელი იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას გუზანის თავგამოდებული ბრძოლა გიორგი ანდრიას ძის (გიორგი რუსის, თამარის ყოფილი ქმარი, საქართველოდან გაძევებული -- ჯ.კ.) საქართველოში შემოსაყვანად. გიორგი ანდრიას ძის კანდიდატურა ხომ სწორედ მამამისმა აბულასანმა წამოაყენა

(თამარის საქმროს შერჩევისას - ჯ.კ.). რაც შეეხება ბოცო ჯაყელს - სამცხის სპასალარს, იგი დადიანებთან მჭიდრო კავშირში მყოფ პირად გვევლინება“ (67.113).

განდგომილები გეგუთიდან თბილისზე წამოვიდნენ. „...ნახევართა, დადიანთა წინაძლომობით, გარდაიარეს რკინის-ჯვარი და ჩავიდეს ციხისჯუარს და დაწუეს ქალაქი ოძრკე. მუნ შეიყარნეს ბოცო და მესხნი, ვინცა იყუნეს მიმდგომნი მათნი. და განმგებელთა ესევი-თარისა საქმისათა ღმრთისა უკითხავად, შვილთა მზეგრძელ უკმეს. რამეთუ გააგეს პირველად ალება ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა, ვინათგან ქურდ-ვაჭრისა იქით გასდგომოდავე ყოველი სომხითი: ივანე ვარდანისძე, პატრონი გაგისა: მაყა, პატრონი კაიწონისა (კაენი თეთ ვარდანისა იყო), სხუანი მის ქუეყანისა აზნაურის შვილი, თჳნიერ ზაქარია ვარამისძისა; იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუკი გამოცდილი“ (3.51).

სხვათა შორის, ჯ. სტეფანაძე მთლად გარკვეულად ვერ გამოთქვამს აზრს - „გიორგის მხარეზე გამოდიოდა „ყოველი სომხითის“ ფეოდალთა დიდი ნაწილიც“ (67.116).

მის მიერ მოხსენებულ „ფეოდალთა დიდი ნაწილი“ იგივე დადიანების გვარის წარმომადგენლებია ვარდან დადიანის ხელმძღვანელობით. სწორედ რომ მის ხელში იყო „სომხითის“ - ქვემო ქართლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე: ორბეთის, კაენისა და ქვეშის ციხეები. მისი შვილის - ივანეს ხელში იყო გაგის ციხე და „კაიწონის ციხის პატრონი მაყაც დადიანების გვარის წარმომადგენელი უნდა იყოს“ (67.113).

„როგორც დავინახეთ, ქურდვაჭრის იქით „ყოველი სომხითი“, ლიხთიქითელი დიდებულების - ვარდან დადიანისა და მისი შვილის ივანეს ხელთ იყო, ამიტომ ამ აჯანყებულებს ვარდან დადიანი წინამძღოლობდა იმ მოსაზრებით, რომ ვარდანი სომხითში ერთი პატრონთაგანი იყო“ (4.169). აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს მოსაზრებაც მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას იმაზე, თუ რატომ აღმოჩნდა „სომხითი“ (ნაწილობრივ ძაინც) თამარის მოწინააღმდეგეთა მხარეზე.

თამარ მეფემ უბრძანა ამირსპასალარ გამრეკელს, ოთხივე მხარგრძელს და თორელებს ჯავახეთშივე დახვედროდნენ აჯანყებულებს.

რომლებმაც მეფედ რუსი დაისვეს და იქ ეჩვენებინათ თავიანთი ძალა.

ომი მოხდა ხინგრის ხეობაში, ერუშეთსა და თმოგვს შორის. თამარის მხარემ გაიმარჯვა.

ვიდრე თამარის მომხრეთა ერთი ნაწილი, მხარგრძელების მეთაურობით, ებრძოდა დადიანის მეთაურობით წამოსულ აჯანყებულებს ქვემო ქართლში, აჯანყებულთა მეორე ნაწილი, რუსის მეთაურობით, ქართლს გადმოსულიყო და ნაჭარმაგევსა და გორამდე მოსულიყო, მაგრამ როგორც კი გაიგეს ხინგრის წყალზე მათ თანამებრძოლთა დამარცხება, მაშინვე უკან გაბრუნდნენ ლიხთიმერეთში.

რუსის მომხრეები დამარცხდნენ. სომხითიდან შემოქცეული თამარი (თამარ მეფეც მხარგრძელებთან ერთად იყო ქვემო ქართლში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს) – „დგა ჭალასა აგართასა, მონადირე და მონადიმე, მხიარული და შემწყვალეული ერთგულთა და საკუთართა მისთა. შეიწყალა ზაქარია ვარამისძე, და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთრივთა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა კელი მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“ (3.54). ამრიგად, ქვემო ქართლის ციხეები ვარდან დადიანმა და მისმა შვილმა დაკარგეს და ისინი მიიღეს მხარგრძელებმა. მაგრამ ამ წყალობაში არ არის მოხსენებული ქვეშის ციხე. როგორც ჩანს, იგი ისევ თავისთვის, სამეფოდ დაიტოვა მეფემ. ეს რომ ასე უნდა იყოს, ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მეფემ იგი გადასცა თორელთა ფეოდალურ საგვარეულოს. თორელთა ამ შტომ ქვეშელთა სახელი დაიმკვიდრა (5.10; 81.9). „ქვეშელები ეწოდებოდა აგრეთვე თორელთა განაყოფ შტოს – ჯავახიშვილებს, რომელთაც 1468 წელს მეფისაგან გამოისყიდეს თავიანთი ძველი სამამულო – ქვეში“ (5.519-520).

როგორც ცნობილია, XV საუკუნის 60-იან წლებში ტახტისათვის ბრძოლა წარმოებდა გიორგი VIII-სა და ბაგრატ VI-ს შორის. ქართლის ფეოდალების ერთი ნაწილი ერთს ემხრობოდა, ნაწილი – მეორეს. ჩანს, ბაგრატის გამარჯვება მთლად სასიხარულო არ უნდა ყოფილიყო ქაჩიბაძეთათვის, თუნდაც იმიტომ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი

ციხე, როგორც არის ქვეშის ციხე მაშავერას ხეობაში, ბაგრატის ტახტზე ასვლის შიშველი მიიღეს ჯავახიშვილებმა (25.10).

1468 წელს ბაგრატ მეფემ ასეთი სიგელი უბოძა ჯავახიშვილებს 'ზაქარიას, კახას და ზახას:სიგელით ამით შევიწყალე და ტუელნი სიგელნიც უნახვენით თამარ მეფისაგან... და ახლადვე ღიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული, მათივე ალაღითა და საქონლითა მათვე მიჰყიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეში ციხითა. ბაყითა და მისთა მიდგომითა, და სოფელი რატკვანი..." (43.40).

აღნიშნული საბუთი მრავალმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი, იგი ქვეშის ციხის მნიშვნელობას ხაზს უსვამს იმ კუთხით, რომ აქ საბაუოც ყოფილა. მართლაც ეს ციხე, როგორც არაერთხელ არის აღნიშნული სხვადასხვა წერილობითს წყაროში, მნიშვნელოვანი გზების შესაყარზე მდებარეობდა. მეორეც, თამარ მეფის დროინდელი საგლებიც იქნა მოძებნილი. ეს, ალბათ, მიუთითებს თამარის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ ვარდანი დაღიანისათვის ქვეშის ციხის ჩამორთმევას და ამ აჯანყების დამარცხებაში თამარ მეფის აქტიურ მხარდამჭერ თორელებისათვის გადაცემის ფაქტს. ამაზნა საუბარი აღნიშნულ სიგელში.

ქვეშის ციხის მიღება „ბაყითა და მისთა მიდგომითა“ ნიშნავს იმას, რომ ჯავახიშვილებს შეეძლოთ კონტროლი გაეწიათ მაშავერას ხეობისათვის (25.10).

როგორც ჩანს, ჯავახიშვილების ხელში ღიდხანს არ ყოფილა ქვეშის ციხე. კერძოდ, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ 1486 წელს იაყუბ ყაენის ლაშქრობის დროს ბარათაშვილებმა ღიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტრის მარბიელ რაზმს მაშავერას ხეობაში და ნადავლი დაატოვებინეს.

ის ფაქტი, რომ ღმანისისა და ქვეშის ხევის მარბიელთა მღევრებ-ბად ბარათაშვილები გამოდიან, უთუოდ მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადგილების პატრონიკი ბარათაშვილებია და ქვეშის ციხეც „ბაყითა და მისთა მიდგომითა“ უკვე ჯავახიშვილებს აღარ უჭირავთ (25.11).

ამ აზრს ისიც აძლიერებს, რომ XVI საუკუნის დასაწყისისათვის ეს მხარეები ბარათაშვილების სამფლობელოა. საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით ისიც, რომ ბაგრატის შემდგომ მეფობაში, კონსტან-

ტინე მეფის დროს (1479-1505 წწ) ბარათაშვილები ძალიან ძლიერ-
დებიან და მეფესაც კი უმოყვრდებიან (ქალი დავით ქაჩიბაძისა, რომელიც
ცნობილია ამ დროს უკვე ბარათაშვილადაც, ცოლად შეირთო ტახ-
ტის მეგვიდრე დავითმა). ყველაფერი ეს აძლიერებს იმ აზრს, რომ
ქვეშის ციხე XV საუკუნის ბოლოსათვის ბარათაშვილების ხელშია
(25.11).

თემურლენგის მრავალგზის ლაშქრობების შემდეგ საქართველოში
ჩვენი ქვეყანა მთლიანად განადგურდა. ამ ამოხრებულ შემოსევებს
ქვეშის ციხეც ვერ გადაურჩებოდა. ამას დაემატა XV საუკუნის ბოლოს
იყუბ ყაენის ლაშქრობა: „შემდგომ მოვიდა იაკუბ ყენი სამცხეს,
ამან წარმოავლინნა აწყურეიდამ სპანი, ესენი დაესხნენ დბანისს და
ქუეშისკევს, მოტსყუენეს და წარვიდნენ“ (1.386). ამასთან დაკავში-
რებით ბერი ეგნატაშვილი უფრო ვრცლად გადმოგვცემს: „ამას შინა
ბრძანა ყაენმან, რათა სომხითი მოარბიონ, ბარათაშვილი გაუძახა და
მისი უკეთესი ლაშქარი მალვით მივიდეს და დაესხნეს შეუგებრად
დბანისს და ქუეშისკევსა და წარმოიღეს ტყუე, ალაფი უამრავი“
(3.343). გაიგეს რა ეს ამბავი ბარათაშვილებმა, მცირე ჯარით გადა-
უდგნენ და თითქმის ყველანი ამოწყვიტეს და ნადავლიც წაართვეს.
ამის გამგონე ყაენი განრისხდაო: „ამაზედ აეყარა ყაენი, წარვიდა და
დატყუევა აწყურისა ღმრთისძმობელი, მოქალაქენი და, რანიცა ციხე-
სა შიგან იყო, დიადი სული წაასიხეს და წარვიდა ყაენი თჳსსა
საყაენოსა“ (3.343).

წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ქვემო ქართლში
და მათ შორის, ქვეშის ხევში (ქვეშის ციხეზეც), ბარათაშვილთა
გვარი ბატონობს.

აკად. გ. ჩიტაიას აზრით, ბარათაშვილთა საგვარეულოში პირვე-
ლი მთავარი გაყრა XV საუკუნეში მომხდარა. მათგან სამი შტო
გამოიყო: ბარათაშვილების, აბაშიშვილების და ორბელიანების (24.124).

ალექსანდრე I-ის (1412-1441 წწ) სალაროს მოღარეა ბარათა
ქაჩიბაძე, რომელიც მის შთამომავლობაში „დიდ ბარათად“ არის ცნო-
ბილი. ე.ი. XV საუკუნეში ამ გვარის ხელში ყოფილა მეფის სალარო
(25.20). ბარათა ყოფილა მოღარეთუხუცესის თაყა ზევდგინიძის
გამზრდელი. ბარათას პირმშო დავითიც, რომელიც თავს სამშვილდის

ბატონად აცხადებს, სალაროს მოღარეა. მას შემკვიდრებით მიუღია კელი მამის შემდეგ (25.21).

ალექსანდრე მეფის მცდელობით საქართველომ კვლავ დაიბრუნა სამხრეთი ტერიტორია – ლორე-ტაშირის ველი ლორეს ციხითურთ. ამასთან ერთად შემოიერთა აღმოსავლეთი სივნიეთის (დაახლ. ყარაბაღის მიდამოები) ოლქები. საქართველო ჯერჯერობით ერთიანია და გაძლიერების გზაზე მდგარი. ამან თავის მხრივ გამოიწვია მაკჰადიანთა მხრიდან ძალზე შევიწროებული სომხების ტალღის მოწოლა საქართველოსაკენ. ისინი ცდილობდნენ საქართველოში დასახლებას, თავისთვის მშვიდი ცხოვრებისა და შრომის პირობების შექმნას (23.427).

ამ დროს შემოდის სომეხთა ერთი ტალღა ფინეზაურ-მაშავერას ხეობაში, რაც აირეკლა კიდევ XVI საუკუნის საბუთებში მოხსენიებული სოფლებისა და მათი სომხური სახელწოდების მომრავლებაში.

XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისისათვის საბარათიანო უძლიერესი სათავადო იყო ქართლში. ბარათაშვილები უზარმაზარი ტერიტორიის – სამი ხეობის (ალგეთის, ქციისა და მაშავერას) მფლობელებია. ამ სათავადოს პოლიტიკური ცენტრი სამშვილდეა. ათეულობით აზნაური ჰყავთ, ასეულობით ყმა-გლეხი, აქვთ საგვარეულო ციხეები და კოშკები, სასასწლეები და ეკლესია-მონასტრები. ყველა ამის მფლობელი ბარათაშვილები დიდ როლს ასრულებენ ქართლის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. მეფის კარის უახლოესი პირები არიან და უდიდესი გავლენით სარგებლობენ სამეფოში (25.20).

XVI საუკუნეში ბარათაშვილები უკვე არ ჩანან სამეფო მოღარის კელის მატარებლად. სამაგიეროდ, XVI საუკუნიდან ბარათაშვილები „მეწინავე დროშის“ სარდლებია (25.20). სასარდლოს ტერიტორია შეიცავს ალგეთს, ქციას, მაშავერას, სომხითს, ტაშირს, ლორეს, ყაიყულს, (აბოცს) და თრიალეთის ნაწილს, ე.ი. გაცილებით მეტ ტერიტორიას, ვიდრე სათავადო „საბარათიანო“, მაგრამ რადგან ძირითადი ტერიტორია მაინც საბარათიანო იყო „მეწინავე დროშისა“ (რომელიც აგრეთვე ცნობილია „სომხით-საბარათიანოს“ სახელით), ამიტომ ხშირად წყაროებში „საბარათიანო“ და „მეწინავე სადროშო“ გაიგივებულია (25.21).

ლუარსაბ I-ის შემდეგ ქართლის მეფე მისი შვილი სიმონ I გახდა – ერთ-ერთი გამორჩეული მეფე და პიროვნება. გამეფებისთანავე მას განუწყვეტელი ბრძოლების წარმოება უხდება აქეთ ყიზილბაშებთან. იქით ოსმალებთან. მისი ძმა დავითი კი მიემგზავრება ირანში შაჰ-თამაზთან. უღალატა თავის ძმას. ირანის შაჰმა დიდი პატივით მიიღო იგი. დავითმა მაჰმადიანობა მიიღო. მემატთანე ასე ახასიათებს მას: „და ესე დავით იყო კაცი უღმრთო, მოყუარე სოფლისა, მეძავი და მემრუშე, რომლისა გულსა არარა იყო ზრუნვა სულსა და ქუეყნისა ამის თქმულ არს, ვითარმედ მამის სიკუდილშიაც ერევო, (მეფის ლუარსაბისაშიო) – და ამან განსცა ძმა და ქუეყანა თუხი...“ (3.367). გამაჰმადიანების შემდეგ მას დაუთხანი ეწოდა. შაჰ-თამაზმა მას ქართლის მეფობა უბოძა და თბილისში გამოაგზავნა. მან ოსმალებს თბილისი წაართვა. სიმონ მეფემ ჯარი შეკრიბა და თავისი ძმის – დაუთხანის წინააღმდეგ გაემართა. ბრძოლა მოხდა დიღომთან. დაუთხანი მიუხედავად ყიზილბაშთა ჯარის დიდი რაოდენობისა, მაინც დამარცხდა და თბილისში ჩაიკეტა. შემდეგ დაუთხანმა დამატებითი ძალები მიიღო და ძმებს ტაბახმელას მოუხდათ ერთმანეთთან შებრძოლება, მაგრამ ისევ დამარცხდა დაუთხანი. მან ამის შესახებ ირანის შაჰს აუწყა. შაჰმა ახალი ძალები გამოგზავნა. ბრძოლა მოხდა ფარცხისთან. აქ სიმონ მეფეს უღალატა კახაბერ ყორღანაშვილმა. მან ყიზილბაშებს აცნობა, რომ სიმონ მეფე განმარტოებული იყო. შემოიხვივნენ სპარსელები და ტყვედ წაიყვანეს ირანში. იქ შაჰი აიძულებდა სიმონ მეფეს მაჰმადიანობა მიეღო, მაგრამ უშიშარმა მეფემ უარი თქვა. რის გამოც იგი ალამუტის ციხეში ჩაამწყვდიეს. ბერი ეგნატაშვილი წერს: „ხოლო დაიპყრა დაუთხან საბარათიანო და დაჯდა დმანის-კეესა ციხესა ქუეშე“ (3.369). ხოლო ვახუშტი ასე გადმოგვცემს: „ხოლო დაუთხან დაიპყრა ქართლი. არამედ ვიეთნიმე მთავარნი განდგნენ და არა მორჩილებდნენ და დაჯდა დაუთხან ქუეშის ციხესა შინა და განცხრებოდა ხორციელად“ (1.409). ჩვენთვის ეს ცნობა ძალზე საინტერესოა იმიტომ, რომ XVI საუკუნეშიც ქვეშის ციხე ძალზე მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს. ქართლის მეფე მიდის და თავის რეზიდენციად ქვემო ქართლში ქვეშის ციხეს ირჩევს.

სარდალი საჩინო ბარათაშვილი სიმონ I-ის ერთგული დარჩა და

არც დაუთხანს და არც ყიზილბაშებს არ დაემორჩილა. მემატიანე მასზე გადმოგვცემს: „ხოლო დღესა ერთსა მოვიდოდა კოჟრისაკენ და რა მოვიდა კივის თავსა გულაყარისასა. მუნ კახაბერი ყორღანაშვილი შემოეყარა წინა, რომელმან უწინამძღუარა ყიზილბაშთა და დააჭყრინა მეფე სჯომონ. და რა იცნა საჩინომ კახაბერი ყორღანაშვილი, შეიპყრა და გარდაგდო კლდესა მას გულაყარისასა. და რა მიგორავდა ჩაღმა, იტყოდა თუთვე ლექსსა ამას:

„ყორღან-ოღლი ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“ (3.370).

ქვემო ქართლის მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა XVII საუკუნის დასაწყისში. შაჰ-აბას I-მა ქართლის მეფე გიორგის ლორე და მთელი დებედას ხეობა წაართვა. იქ დიდი რაოდენობის ბორჩალოს ყიზილბაშური ტომი ჩაასახლა, ამიტომ ამ მხარეს ბორჩალოს სახელი დაუმკვიდრდა (26.226).

ლორეს ციხისა და მთელი დებედას ხეობის დაპატრონებით ირანის მბრძანებელმა საქართველოს სამხრეთის კარის გასაღები ჩაიგდო ხელთ. ამიტომაც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ მომენტს გულისხმობს, როცა ხაზს უსვამს, თუ როგორ აიძულა შაჰ-აბასმა ქართლის მეფე, ლორე დაეთმო. „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა და მიუგო: „ველოდო ჯილდოდ შენგან სხვასაცა ქალაქსა სამსახურთათვის მამისა ჩუენისა და ჩემისა, და არა მიხუმასა საზღვართა ჩემოასა“, არამედ ვინაითგან იყო შაჰ-აბას მკბიერი და სწადდა დამცირება ქართლისა... ამისთვის უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსავალისათვის ბერდუჯით მდინარისა“ (1. 419-420).

ქართლს სამხრეთი საზღვარი მოერღვა. გვიან შუა საუკუნეებში, როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძღურდა და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი საზღვრებიც XII საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად დამცირდა, ქვემო ქართლის, ანუ ლორე-ტაშირ-სომხითის უალრესი მნიშვნელობა საქართველოსათვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. „ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს თბილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, „მეწინავე დრომად“ იწოდებოდა. ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთიდან შემოსეულს მტერს უნდა დასვეკდროდა და სწორედ ამ მიწა-წყალზე უნდა გაეწია

ქართულ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა“ (7.24). სწორედ ამის გამო იზიდავდა საქართველოს მტრებს ეს კუთხე ასე ძალიან და მათს ყურადღებას იპყრობდა. „იგივე გარემოება, მეორეს მხრივ, თვით საქართველოს მმართველ წრეებს და ერს საქართველოს ამ მართლაცდა „მეწინავე დრომასა“ და სამხრეთის ერთადერთ საფარს დარაჯად ხდიდა და თუმცა სპარსეთის მბრძანებლები. ოსმალეთის ფაშებიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდნენ, მაგრამ ქართველობას ამ ქვეყნის შესანარჩუნებლად თავისი სიცოცხლე არ დაუზოგია“ (7.24).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლორეს ჩამოშორებით, მაშავერას ხეობაში დმანისის, ბოლნისის, ქვეშის, ჭაპალას და სხვ. ციხე-სიმაგრეების როლი კიდევ უფრო გაიზარდა. როსტომ მეფის (XVII საუკ. შუა პერიოდი) ხანაში ქართლი შედარებით მშვიდი, აღმშენებლობითი ცხოვრებითაც ცხოვრობს და ვფიქრობთ, ეს სიტუაცია სამეფო ხელისუფლებამ და მისმა მოხელეებმა ბარათაშვილ-ყაფლანიშვილებმა ზემოთ აღნიშნული ციხეების კიდევ უფრო გამაგრება-განმტკიცებით სათვის გამოიყენეს, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ამ სათავადო სახლის სათავეში ყაფლანი იდგა („დიდ ყაფლანად“ ცნობილი). „მისი ინიციატივით უამრავი ციხე-სიმაგრე და სოფელი აშენდა“ (24.119).

საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ შეკვხით ბარათაშვილთა გვარს. ამ გვარის წარმოშობას და მისგან გამოყოფილ ცალკეულ სათავადო სახლს.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ამ გვარს საფუძველი დაუდო, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბარათა ქაჩიბაძემ, რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც „დიდი ბარათა“.

ბარათა ქაჩიბაძეს მამულები უნდა ჰქონოდა მაშავერას ხეობაში. XV საუკუნის მეორე ნახევარში ქაჩიბაძეები სამშვილდის მეპატრონეები არიან (25.9). მათ ხელში უნდა ყოფილიყო ქვეშის ციხეც (25.11).

XV საუკუნის ბოლოს საქართველო სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა იყო. ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა ქვემო ქართლიც, სადაც ამ დროისათვის ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში. უკვე ჩამოყალიბებული დიდი ფეოდალური სენიორია არსებობდა სათავადო საბარათიანოს სახელით.

თა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ... ძველად იწოდა გმირნაკვეთი, და იყო ციხე“ (1.48).

მაშასადამე, ბარათაშვილთა უძველესი წინაპრის პირველსაცხ-ოვრისი ალგეთის ხევი გამოდის.

ბარათაშვილთა გენეალოგიის საკითხი დაწვრილებით შეისწავლა აკად. ს. ჯანაშიამ. დეტალურად შეისწავლა ბარათაშვილთა წინაპრის „ქაჩიბაძე-ქაჩიფაისძეს“ ეტიმოლოგია, რის საფუძველზეც გამოთქვა მოსაზრება, რომ ბარათაშვილთა წინაპრები დასავლეთ საქართველოდან არიან მოსულნი. უფრო მეტიც, „ქაჩიბაძე-ქაჩიფაძე“ წარმომავლობა აფხაზურთანაც აქვს დაკავშირებული (68.481).

„ქაჩიბაძეების გადმოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში, ცხადია, ძალიან ძველი ამბავია. იგი უკავშირდება ერთს უაღრესად საყურადღებო ისტორიულ მოვლენას საქართველოს ისტორიაში... ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფეოდალურ „კოლონიზაციას“, „იმიგრაციას“, რომელიც ლიხთამერში ლიხთიმერეთიდან მომდინარეობს გარკვეულ ხანაში... აფხაზთა სამეფოს წარმოშობამ (VIII-IX სს.მიჯნა) მას თავისებურად უპასუხა. დასავლეთიდან წამოსულმა ფეოდალურმა ექსპანსიამ აღმ. საქართველო სხვადასხვადროინდელი, მეტ-ნაკლები სიმაღლის და განსხვავებული ხასიათის ტალღებით დაფარა. ეს პროცესი კი დაკავშირებული იყო თვით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურთან.

უპირველესი ამ მხრივ იყო ვინმე ლიპარიტი, რომელმაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში „შეიპყრნა ქვეყანანი თრიალეთისანი, ადაგო ციხე კლდე-კართა“ და საძირკველი ჩაუყარა კლდე-კარის ერისთავთერისთავების სახლს, რომელიც უძლიერეს ფეოდალურ ბუდედ იქცევა და რომლის გვიანდელი წარმომადგენელი, აგრეთვე ლიპარიტი, აღმოსავლეთ საქართველოს უგვირგვინო ძეგვა მე-11 ს-ში. ამ საგვარეულოს, სრული შეკდომით, ორბელიანებს ეძახიან, მაშინ, როდესაც მისი ნამდვილი გვარი-სახელი იყო „ბალუაში“. მეგრულ-ჭანური გვარებისათვის დამახასიათებელი ფორმით (დაბოლოება - „ში“). წარმოშობით ეს საგვარეულო არგვეთიდან, ე.ი. დღევანდელი ზემო იმერეთიდან, მოდიოდა და მისი მამაპაპეული რეზიდენცია კაცხი იყო.

ქართლეღმა ბაღვაშებმა თავიანთი უფლება თანდათან გაავერცელეს თრიალეთსა, ალგეოის ხევსა და, საერთოდ, ქვემო ქართლის იმ ნაწილზე, რომელმაც შემდგომში საბარათიანოს სახელწოდება მიიღო“ (69.477).

თუ ქართლელი ბაღვაშების ურთიერობა აფხაზთა მეფეებთან თავისებური ხასიათისა იყო და მათი ლიხთამერეთს გაღმოსვლა, შესაძლოა. ამ მეფეთაგან დამოკიდებულების ნაყოფი კი არ იყოს, არამედ სულ სხვა ურთიერთობის შედეგი, ყოველ შემთხვევაში, სხვა ფეოდალური სახლების დაჯდომა აღმოსავლეთ საქართველოში უეჭველად აღნიშნულ ექსპანსიას უკავშირდება. ასეთია, მაგ., საზვერელი აზნაურების, ჩიჯავაძეების დასმა თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში, იმერეთ-ამერეთის ყველაზე სამხრეთით მდებარე გზაზე. ეს დიდი აზნაურები აქ უკვე მე-10 ს. პირველ ნახევარში ჩანან. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში პირველობენ ერისთავნი მარუშიძენი, რომელნიც გვარის მიხედვით (ში-ძე) აგრეთვე უეჭველად ლიხთიმერეთიდან მომდინარეობენ. საფიქრებელია, რომ ამავე ხანაში (თუმცა, გადაჭრით ამის თქმა ძნელია წყაროების უქონლობის გამოც) იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი, რომელთა გვარსახელიც, თავის წარმომავლობითა და მერმინდელი ისტორიით (ბა-ძე), „ქაჩიბაძის“ სრულ ანალოგს წარმოადგენს. „ანჩაბაძის“ მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება „ანაბუთი“, ხოლო უკანასკნელიდან — ახალი სამფლობელო სახელი „ანაბელი“ (69.478).

უეჭველია, ეს პროცესი მე-10 საუკუნეში არ დამთავრებულა და მომდევნო ხანაშიაც გაგრძელდა, თუმცა უფრო შესუსტებული სახით... ქაჩიბაძენიც, ვფიქრობთ, ამ ნაკადმა მოიყვანა ქართლში (69.478).

შემდეგ, ისევე, როგორც ამას ქართლოსიანნი შვრებოდნენ, ლეონტის სქემის მიხედვით, ბირიანს „გაუქციებია“ (დაარსება-აღშენება არ იგულისხმება) ციხეები ორბუთისა, ფარცხისისა და აწეულისა (ე.ი. აზნაურ-კოჯრის ციხე), რაც კვლავ ალგეოის ხეობას გულისხმობს (2.93).

მას მერე, რაც „გარდაიკვალა დრო და ჟამი“, ქაჩიბაძეყოფილი ბარათაშვილები ენაგეტს სახლობენ, ისევე ალგეოზე, აქ დამკვიდრებუ-

ლი, ჯერ გაუყრელი ძირითადი შტო, რა თქმა უნდა, ადრიდანვე აყართობდა თავის სამფლობელოს – იძენდა მამულებს მეზობელ ხეობებში, რის შედეგადაც, გაყრისას „აბაში სამშვილდეს დარჩა, გუგუნა ალგეთზე, უმცროსი დავით გარეჯას (2.93). როგორც ჩანს, ბარათაშვილთა წინაპრების პირველი გაყრის შედეგად, ბირიან აბაშის მემკვიდრეები სამ დიდ ხეობაში – ალგეთის, ხრამისა და მაშავერას ხეობებში გაბატონდნენ. აქედან გამომდინარე, ქვეშის ციხე დავით ქაჩიბაძის ხელში უნდა მოქცეულიყო.

ბარათაშვილებსა თუ მათ განაყარებს ეკუთვნოდათ ცალკეული სოფლები ქვემო ქართლის სხვა ნაწილებშიაც: სომხითში, ტაშირში, თრიალეთ-ზურტაკეტსა და ვერეს ხეობაში, სწორედ ამის ანარეკლია გადმოცემაში დასახელებული მთები და მდინარეები, რომლებიც თითქოს ბირიან აბაშს მეფისაგან მიუღია ადრიდანვე (2.93).

გადმოცემის შემოწმება-დაზუსტება ისტორიული საბუთებით ხერხდება. კერძოდ, დასტურდება ბარათა ქაჩიბაძის არსებობა XV საუკუნის I მესამედში, რომელსაც უნდა მიეცა დასაბამი ბარათაშვილთა გვარისათვის. იგი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, „დიდ ბარათად“ იხსენიება, და ეს „სიდიდე“ თვით საგვარეულოს წევრთა შეგნებაში, საფიქრებელია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამსახურებასთან, რომელიც ბარათას მიუძღვოდა საბარათიანო სენიორიის (სათავადოს – ჯ.კ.) შექმნის საქმეში. რომ ეს სენიორია არსებითად XV ს. ყალიბდება. ამას საუკეთესოდ მოწმობს თვით ფაქტი ახალი საგვარეულო სახელის ჩამოყალიბებისა (29.470).

ასე რომ, საბარათაშვილო XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ძირითადად მაშავერას, ქციისა და ალგეთის ხეობებს მოიცავს (25.12).

როგორც უკვე ვიცით, ბარათა ქაჩიბაძის შვილი იყო დავითი. დავითს ოთხი ვაჟი ჰყავდა: ლაპა, ბარათა, სურამელ და ქავთარ. ქავთარს კი ექვსი ვაჟი ჰყავდა: გუგუნა, გერმანოზი, თაყა, ქუშსი, გეოსტაშაბ, ფალავან-ხოსრო. ამათ გვერდით არის სხვადასხვა ბარათაშვილებიც, რომელთა ნათესაური კავშირი პირველებთან ნათლად არ ჩანს (წყაროთა უქონლობის გამო), მაგრამ ორივენი კი თავიანთ წინაპრად „დიდ ბარათას“ ასახელებენ და ერთ სახლად ცხოვრობენ. სწორედ ამის მოწმობაა ქავთარ და შაჰყუბად ბარათაშვილების „წიგ-

ნი გაუყრელობისა“, რომელშიც ნათქვამია: „ესე წიგნი გაუყრელობისა“ გკადრე და მოგახსენე მე პატრონმან შაჰყუბად აბაშმა, დავით, ლაპა და მერაბ (ესენია სწორედ „მორე შტოს“ წარმომადგენელი) თქვენს პატრონს ქავთარს და თქუნთა შვილთა გუგუნას, გერმანოზს, თაყასა, გოსტაშაბს და ფარავან-ხოსროს, ასრე და ამ პირსა ზედა რომე ვიყო თქვენი გაუყრელი და არასა მიზეზისათვის არა გაგეყარო თქუნსა მტერზედა მტერი ვიყო და მოყვარეზედ მოყუარე“ (25.3).. მაგრამ ამითი „გაუყრელობა“ დიდხანს არ გაგრძელებულა. 1523 წლისათვის ქავთარი და შაჰყუბადი (მისი ძმებით) უკვე გაყრილნი არიან (25.12).

ქავთარის სახლის გაყრის შემდეგ კიდევ მომხდარა მის ჩამომავლებში ქონების დანაწილება, რის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა გოსტაშაბიშვილების (გოსტაშაბისაგან) და გერმანოზიშვილების (გერმანოზისაგან) საგვარეულოებს (25.16).

1536 წელს კიდევ ერთი გაყრა მოხდა ბარათაშვილთა საგვარეულოში. იყრებიან იოთამ და ორბელ ბარათაშვილები. გაყრა მომხდარა ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის ხელმძღვანელობით (25.16).

იოთამი გიორგის შვილია, ორბელი კი იოთამის ბიძაშვილი უნდა იყოს. ის, რომ საბუთში მოხსენიებულია მხოლოდ იოთამის მამა გიორგი (ორბელის კი არა). უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ აქ გიორგი იყო სახლის უფროსი (25.17).

იოთამიშვილების საგვარეულოს დამარსებელი არის ზემოთ მოხსენიებული იოთამ ბარათაშვილი. ამ გაყრის შედეგად ამ სათავადო სახლის წილი შედგებოდა რჩ კომლისაგან. ეს ყმები ცხოვრობდნენ დაახლოებით 80-მდე სოფელში. მასვე შეხვედრია „სრულიად ლოქის მთის ნახევარი და საუხუცესო. იოთამის სახლის საგვარეულო ციხეები ყოფილა დმანისისა და აღუძარეს ციხე. სასაფლაოდ მიუღიათ დმანისის ღვთისმშობლის ეკლესია და „საუხუცესოდ ფიტარეთის თავსაყდრის ნახევარი ზეითი მხარე, გარეთა ორმოცდაათი ეკლესია“ და სხვ. (25.72).

რაც შეეხება ორბელს, რომელმაც სათავე დაუდო ბარათაშვილთა საგვარეულოში ყველაზე ძლიერ ორბელიშვილ-ყაფლანიშვილ-ორბელიანთა ფეოდალურ საგვარეულო სახლს, ზემოთ აღნიშნული გაყრის

შედეგად მიეკუთვნათ სანახევროდ: დმანისის ციხე, მანაკერტი, აკაურთა, ფიტარეთი, კარმაგარა, ქვაბევანი, ჯანაზიანი, ბალახაური, ცოვრეთი, ავაზანი, დარბაზჭალა, ფარანჯუკი, მოლამასხუდი, გელდიგელანი, ყარაში, ქედის ეკლესია სულგელიანი, გელას სოფელი, ქეთილაშენი, ხანბოდოარი, ჩირგაშენი, ქერანდენი, წაკელაგცი, ყამიში, ყადრიყელი, ყარაქილისა, გოგაღჩელი, ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, ბოსლები, ხატის სოფელი, ტნუსი, თევრი, გუდარეხი, საკარისი, ხელუტი, ლევასუბანი, ყაზნარაშვილის სოფელი, წნორი, საკირის სოფელი, წრაურთა, კრეხილა (25.77).

ორბელსავე უნდა შეხვედროდა ფიტარეთის საყდრის ნახევარი და დმანისის ღვთისმშობლის ეკლესიის ნახევარი, რომელიც მოგვიანებით სულ ყაფლანიანთ ხელში გადავიდა (25.78).

ამ ორბელ ბარათაშვილის სახლის შესახებ სხვა რაიმე ხელშესახები ცნობები ჯერჯერობით არაფერი გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ ბარათაშვილთა ამ შტოში XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველ მეოთხედში სისხლისმღვრელი სამამულო ბრძოლები ყოფილა, რომელიც დამთავრდა ბარათა ბარათაშვილის მიერ მისი სახლისკაცების გაწყვეტით. კერძოდ, ამ ბარათამ მთლიანად ამოწყვიტა თავისი ახლობლები ტანძიაში. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ყაფლან ბარათაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის პაპა. მან სპარსეთს შეაფარა თავი. ხოლო 1624 წელს იგი შაჰ-აბას I-ის ლაშქარს შემოჰყვა საქართველოში და მონაწილეობდა მარაბდის ბრძოლაში. მისი მიზანი იყო ბარათა ბარათაშვილის დამარცხება და შურისძიება. ბარათა ბარათაშვილი შაჰის მხედრებმა მოკლეს, მისი მამულები კი ყაფლანმა მიიღო (72.8). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილი, რომელიც გიორგი სააკაძის მხარეზე იყო მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის დროს, ქვემო ქართლის უძლიერესი ციხე – ბირთვისი ყიზილბაშებს გადასცა და მათ სამსახურში ჩადგა, რის საფასურადაც მას ჯერ ქვემო ქართლის სარდლობა უბოძეს (მოკლული ბარათას თანამდებობა – ჯ.კ.). მერე კი (1626 წ.) თბილისის მოურავობაც დაუმტკიცეს (71.87).

ქაიხოსრო ბარათაშვილს მალე ჩამოართვეს სარდლობა და ეს თანამდებობა გადაეცა ზურაბ ბარათაშვილს, რომელმაც სათაკე დაუ-

დო კიდევ ერთ ფეოდალურ საგვარეულოს – საზურაბიშვილოს. ეს თანამდებობა მას სიმონ II-ის მეფობაში უნდა მიეღო (25.58).

ზურაბს 1662 წელს კაზრეთის ხეობაში აუშენებია ეკლესია, რომელსაც ახლა სათხეს უწოდებენ (73). ამ ეკლესიის კედლებში ჩატანებულია V-VI საუკუნეების სტელები და ადრეული ეკლესიის სხვა დეტალებიც ბოლნური ჯვრებითა და იმდროინდელი ორნამენტებით შემკული. საერთოდ, კაზრეთის მხარე ადრე შუასაუკუნეების ეკლესიებისა და სხვა ნაგებობების ნანგრევებითა და ფრაგმენტებით არის მოფენილი.

საზურაბიშვილოს ძირითადი მამულები კაზრეთისა და ბალიჭის ხევში იყო, თუმცა მათ ხელში იყო აგრეთვე ახპატი, ვარდაპეტის სოფელი, ბერდიკი (2.95; 25.63). თვით ქვეშე 15 კომლი ყმა-გლეხი ჰყოლიათ (75.53).

სომხით-საბარათიანოს სარდლობა ზურაბის ჩამომავლობამ ვერ შეინარჩუნა. ვერც რაიმე სხვა დიდი თანამდებობის დამკვიდრება შეძლეს თავიანთ სახლში. ძლიერი სათაყადოს შესაქმნელად კი ისევე აუცილებელია დიდი სამოხელეო კელის დამკვიდრება, რომელიც აღზვევის გარდა დიდი მატერიალური შემოსავლის საშუალებაც იყო, როგორც ვრცელი და ერთიანი ტერიტორიის შექმნა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბიანთ ვერ შეძლეს „დიდებული, შეუძვრელი სახლის“ შექმნა.

ლექთა თარეშები ხშირი და ინტენსიური იყო დმანისის ხეობასა და იმ ადგილებში. სადაც ზურაბიშვილების სამფლობელო მდებარეობდა, რამაც გაპოინწვია არა მარტო ყმების გაფანტვა, არამედ მხარის გაჩანაგებაც.

გეინდა ერთი გვიანდელი ფაქტი აღვნიშნოთ. 1846 წლის ივლისის თვეში აღექსანდრე ორბელიანს მეუღლით და სიდედრით – ბარბარეთი, რომელიც „ზურაბიანთ ქალი იყო და შემკვიდრეც იყო“. უმოგზაურია კაზრეთის ხეობაში. რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზურაბიშვილო გახლდათ. ეს მხარე გაოხრებული დახვედრიათ. სასახლეები დაანგრეული და გაპარტახებული. აღ. ორბელიანი წერს: „ეს გაოხრებული სოფელი რომ დაინახა ჩემმა სიდედრმა, მათ სასახლეებში ტყე-კაკლის ხეები იყო ამოსული, მწარედ ატირდა (25.63).

ყაფლან ბარათაშვილს დიდი საადმშენებლო საქმეშაოები ჩაუტარებია. ამის შესახებ ლაპარაკობს მისი საფლავის ქვის ეპიტაფია, სადაც ვკითხულობთ: „ღმერთო, შეიწყალე პატრონი ყაფლან. ქ. წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა მე, ორბელისშვილმა ყაფლან, მეორეთ შევამკვე მონასტერი ესე (იგულისხმება ფიტარეთის მონასტერი, სადაც დასაფლავებულია ყაფლანი – გ.ჯ.) და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოკრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი ია (61). და ამის გარეთ შენი მამებარა სოფელი 17 (იზ). ესე ყოველი დაუტყვე ძეთა ჩემთა ე (ხუთთა) და დავემკვიდრე ამას შინა ქორონიკონსა ტნთ (1671 წ.) და შენდობა ყავთ ჩონ(თვის), გევედრები“ (24.119).

მაშასადამე, ყაფლანი რომ თავის მამულში მობრუნებულა, მას დახვედრია მხოლოდ 17 სოფელი დაუნგრეველ-დასახლებული, სხვები კი მთლიანად დაცარიელებული (25.79).

ყაფლანი ერთგული იყო როსტომ მეფისა (1632-1658 წწ.), მეფეც სწყალობდა მას. ყაფლანს მღივანბეგობა და სახლთუხუცესის მაღალი თანამდებობები ეპყრა როსტომის სამეფო კარზე. ვახტანგ V-ის დროს კი უფრო დიდი პიროვნება გახდა ყაფლანი. მის აღზვევას უთუოდ ხელი შეუწყო იმანაც, რომ მისი ერთადერთი ასული – როდამი პირველი ცოლი იყო ვახტანგ მეფისა. სწორედ ამ ქალთან ჰყავდა ვახტანგს შვილები (25.80).

ყაფლანის მოღვაწეობით დამთავრდა ორბელ ბარათაშვილის სამფლობელოს აღდგენა და სათავადო საყაფლანიშვილოს ჩამოყალიბება-გაფორმება. მისი ერთ-ერთი შვილი თამაზი „მეწინავე დროშის სარდალი გახდა; სარდლობა მერე ამ სახლის სამემკვიდრეო ქელად იქცა (25.80).

ყაფლანის ძიერ სათავადოს შექმნის ფაქტი აისახა ახალი გვარსახელის „ყაფლანიშვილის“ გაჩენაშიც ამ დროიდან მოკიდებული ეს სახლი ყაფლანიშვილის გვარს ატარებს. მაგრამ ოფიციალურ საბუთებში ამ სახლის წევრები ხანდახან ისევ ორბელიშვილობით ან კიდევ ბარათაშვილობითაც იხსენიებიან (25.80).

სამართლიანად იხსენიებენ ყაფლან ორბელიშვილს მისი შთამომავლები „დიდ ყაფლანად“.

ყაფლანიშვილებს 1721 წლის მეწინავე დროშის აღწერის მიხედვით სულ ჰყოლიათ 2073 კომლი ყმა-გლეხი და 101 აზნაური. ყაფლანიშვილები ორჯერ უფრო ძლიერნი იყვნენ ეკონომიკურად (და პოლიტიკურადაც) ვიდრე ბარათაშვილები და მისგან გამოყოფილი გვარები ერთად.

ყაფლანიშვილების ფეოდალური საგვარეულოს ცენტრი-რეზიდენცია ტანძიაში იყო. აქ ჰქონდათ სასახლე, კარის ეკლესია, კოშკი და გალავანი. ეს არჩევანიც არ იყო შემთხვევითი: აქ არის შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. გარდა ამისა, ტანძია ქციის, ზრამისა და დმანისხევის (მაშავერას ხეობის – ჯ.კ.) საზღვარზე მდებარეობს, დმანის-ქვეშიდან სამშვილდეს მიმავალი გზის სიახლოვეს (2.95).

ყაფლანიანთ სახლის აღზევება კარგადაა ფორმულირებული პაპუნა ყაფლანიშვილის (რომელიც ყაფლანიანთ სახლის უფროსი იყო ყაფლანის გარდაცვალების შემდეგ) ეპიტაფიაში, სადაც ვკითხულობთ, რომ პაპუნა „სომხითის მოურავი, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა“ (24.124).

ყაფლანს ხუთი ვაჟი დარჩა, ყველას ცალ-ცალკე ოჯახი და „საუფლისწულო“ ჰქონდა. აღ. ორბელიანი წერს, რომ ყაფლანის გარდაცვალების შემდეგ მის ძეთ „თავთავისთვის გაუკეთებიათ სახლები ს. ტანძიას და ყმა და მამულიც თავთავისთვის დაუჩინებიათ. სოფელ ტანძიას ოთხი ძმა ერთ მხარეზე მდგარან და სალოცავად პაპუნას ეკლესია ჰქონიათ ოთხ სახლობას“.

მათზე ცოტა მოშორებით, ჩრდილოეთის მხარეს მეორე ძმა ორბელი მდგარა და ეკლესიაც ცალკე ჰქონია თავისთვის, რომელიც მან 1683 წელს „სამკვიდროთ სასახლესა შ – ტანძიას კარის ეკლესია“ ააშენა (75.497).

ამ ოჯახებს ასევე ცალ-ცალკე სასახლეები ჰქონდათ თბილისში (25.110).

პაპუნა უშვილოდ გადაეგო. დარჩა ზემოთ დასახელებული ოთხი ოჯახი, რომელნიც ბოლომდე ყაფლანიანთ სათავადოს არსებობის მთელს სიგრძეზე ჩანდა, ამ ოთხი ოჯახიდან იყო ყაფლანის მეორე ვაჟის – ასლანის ოჯახი, რომლის წევრები შემდეგ ასლანიშვილებადც იხსენიებოდნენ. მეორე ოჯახი – ორბელისა (იგივე ვახტანგი,

ყაფლანის მესამე ვაჟი) იყო. მესამე ოჯახი თამაზ სარდლისა. მეოთხე ოჯახი კი ყაფლანის მეხუთე ვაჟს — გიორგისა (25.82).

როგორც ჩანს, თამაზ ყაფლანიშვილის შემდეგ სარდალი იყო ლუარსაბ ყაფლანიშვილი.

როგორც ცნობილია, ირანის შაჰმა 1703 წელს ქართლის მეფობიდან გადააყენა ერეკლე I. ქართლის მეფობა კი ისევ გიორგის მისცეს, მაგრამ იგიც ერეკლეს მსგავსად ირანში დატოვეს. ქართლის გამგებლად გიორგის ძმისშვილი ვახტანგი ლევანის ძე დანიშნეს.

ვახტანგ VI-მ თავისი მოღვაწეობა ერეკლეს დროს „შეშლილი“ წესების აღდგენით დაიწყო. გადააყენეს ერეკლეს მომხრე დიდი მოხელეები და ვახტანგის მომხრენი დანიშნეს, ქართლის მდივანბეგობა ერასტი ვახტანგის ძე ყაფლანიშვილს (სულხან-საბა ორბელიანის ძმას — ჯ.კ.) უბოძეს. სომხით-საბარათიანოს სარდლად ისევ ლუარსაბი დარჩა, მაგრამ, როგორც ჩანს, ლუარსაბი არ ყოფილა ვახტანგ VI-ის პოლიტიკის მომხრე.

1709 წელს ავღანელებთან ომში დაიღუპა ქართლის მეფე გიორგი XI. ქართლის მეფედ შაჰმა ვახტანგის ძმა ქაიხოსრო დანიშნა. ეს ქაიხოსრო 1710 წელს წყალობის წიგნს აძლევს მდივანბეგ ერასტი ყაფლანიშვილს და მის ოჯახს, სადაც წერს: „თქუენი უხუცესი ძმა სულხანყოფილი საბა კურთხეულსა მამაჩვენზედ დიდად ნამსახურები და მრავალ გარჯილი იყო და მით, მისთვის საჯილდოდ ჩიჩიკაშვილი გივის შვილები თავისის სოფლებითა და აგარაკებით ებოძა... და მისი ნამსახურობა თქვენ აღარ ჩაგიტარეთ და გიბოძეთ... ჩიჩიკაშვილები“ (25.115).

ქაიხოსროს ძმა ვახტანგ VI კი ისევ გამგებლად რჩებოდა, მაგრამ ქაიხოსროც იმავე ავღანელებთან ომში დაიღუპა 1711 წელს. ვახტანგი ირანში გაემგზავრა მეფობის მისაღებად. ვახტანგის გამაჰმადიანება შესთავაზეს, მაგრამ იგი არ დათანხმდა. ქართლის მეფედ ვახტანგის ძმა, გამაჰმადიანებული იესე დანიშნეს (1714 წ.), მაგრამ იესე მალე გადააყენეს, ქართლის მეფობა ვახტანგ VI-ს ებოძა. ვახტანგი ირანში დატოვეს. ქართლის გამგედ კი ვახტანგის ძე ბაქარი დასვეს.

ბაქარმა დააპატიმრა იესე (თავისი ბიძა) „ტფილისს სასახლესა შინა“. შეიპყრო იესეს მომხრე დიდი თავადებიც: „კვალად ბრძანები-

თა მამისათა შვიპყრა სპასპეტი ლუარსაბ ყაფლანიშვილი, არამედ იხსნა ესე დედოფალმან რუსუდანი. დანარჩენებს კი ზოგს თვალები დათხარეს და ზოგიც „ექსორიაჰყვეს“. ლუარსაბი დატოვებულ იქნა სარდლის თანამდებობაზე.

1719 წელს, როცა ვახტანგი ქართლში დაბრუნდა და ბაქარი ქართველებით „საზღვარსა ლორესასა“ მიეგება, ლუარსაბ სარდალიც აქ იყო მეწინავე დროშის ჯარით. მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ვახტანგ მეფეს ლუარსაბი სარდლის თანამდებობიდან გადაუყენებია. როდის მოხდა ეს, ზუსტად არ ჩანს, მაგრამ 1721 წელს ვახუშტი ბატონიშვილია სომხით-საბარათიანოს სარდალი. ლუარსაბ ყაფლანიშვილი ვახტანგ VI-ს მონასტერში შეეყენებით დაუსჯია (25.160).

ვახუშტის ქვეშეშეც ჰყოლია ყმა-გლეხები (74.53). ვახუშტის შემდეგ ქვემო ქართლის სარდლად ქაიხოსრო ორბელიანი ჩანს. მის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული. რად ღირს თუნდაც მის მიერ ქვეშის ციხის აღდგენა-განახლება. იგი ერთ-ერთი დიდი პიროვნებაა თავისი მოღვაწეობით XVIII საუკუნის შუა ხანებში და ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პიროვნება ქართლის მეფის კარზე. საერთოდ, ორბელიანებს სამეფო კარზე გაბატონებული ადგილი ეკავათ. ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ ხანის ცნობილი მემკვიდრე პაპუნა ორბელიანი: მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში (თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის შემდეგ) გაშალეს სუფა და „მოიტანეს დროშანი ოთხნივე და აღმართნეს სეფესა წინა და თავს თჳსი ჯარი გარს შემოეხვივნენ. მობრძანდა ბატონი (მეფე თეიმურაზ II – ვ.კ.) და დაბრძანდა სეფესა შინა. ამისა შემდგომად მოვიდნენ დასნი სამღვდელლონი შემოსილნი, კარისა დეკანოზსა ხატი პატიოსანი თავსა ედგა, ჯვარისმტვირთელსა ჯვარი ეპყრა, მთავარდიაკონნი აკმევედეს საკმეველსა, მღვდელნი უკანა უვიდოდეს, ყოველთა დიდრონი ლამპარნი ეტვირთვნეს და მგალობელნი გალობდენ. მოვიდნენ ეგრე და ბატონს თავყანი სცეს, რაც ყიზილბაშნი იყვნეს, ყოველნივე ნახვად მოსულიყვნეს და აქ იხსდნეს (თეიმურაზის მეფედ კურთხევა ქრისტიანულად ირანის ხელმწიფის, ნადირ-შაჰის წყალობა იყო, მან გადაწყვიტა თეიმურაზის ქართლში გამეფება, ხოლო

მისი შვილის – ერეკლესი – კახეთში. ამიტომ ქართლში ყოზილბაშ-თა გარნიზონები დგანან. აი, მათზეა საუბარი, რომელთა წარმომადგენლები მეფის კურთხევას ესწრებიან – ჯ.კ.). წარდგა პატრიარქის არქიდიაკონი და ბატონს დიპტილა მოახსენა და ქება შეასხა. გამობრუნდა და ბატონს მეფობით ნუგეშისცა და მიიწვივეს ბატონი ეკლესიად. წარუძღვნენ ეგრევე დასნი სამღვდელონი, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა, უწინარეს ყოველთა მორთულთა აქლემთა კიდებულნი ქოს-ნალარნი და სპილენძ-ჭურნი მიუძღოდეს და ამას ღროშა სარდლისა მისდევდეს. მარქაფნი შეკაზმულნი ამას შეუდგნეს, გამგენი კარისანი, მახლობელ წინა უძღოდა სიძე თვისი დიმიტრი ორბელიანი, რომელი იყო მანდატურთუხუცესი და განმგე დიდებულისა კარისა. აგრეთვე წინა უძღოდა ზაალ ორბელიანი, რომელსა ებარნეს წინამძღოლნი, მეთოფენი მეფისანი, მობრძანდებოდა ბატონი, მარჯვნივ მკლავი სარდალს ქაიხოსრო ორბელიანს ეყრა და მარცხნივ მკლავი მუხრანის ბატონს კონსტანტინეს...“ ...ვითაც ორბელიანთ წესი არის ბატონის (მეფის – ჯ.კ.) ერთგულობა და სამსახურის ბეჯითობა“ (40.91).

„...განსრულდა ჟამისწირვა, გამობძანდა მეფე ცხებული საკურთხეველით, ცალკერძ პატრიარქს ეყრა მკლავი, ცალკერძ მთავარეპისკოპოსს. მოიყვანეს, მარჯვნივ კერძო სამეფო ტახტი იყო, იქ დაბრძანდა: მოიტანა სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა, რომელი იყო ამირსპასალარი, ქმალი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს“ (40.106).

როგორც დავინახეთ, ძალზე საინტერესო ცნობაა არა მარტო ორბელიანების დიდი გავლენის შესახებ სამეფო კარზე, არამედ თვით მეფის კურთხევის ცერემონიალის შესახებაც.

საინტერესო საბუთია დაცული იმაზე, თუ როგორ შეისყიდა ქაიხოსრო ორბელიანმა ქვეში და მისი მიმდებარე ტერიტორია ზურაბ ყაფლანიშვილისაგან:

„ქ...ეს მტკიცე და უცვალებელი ყოვლის კაცის მოუდევარი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგართვით მე ზურაბისშვილმა ზურაბ და მომავალმან სახლისა ჩემისამან თქვენ, ორბელიან სარდალ-მდივანბევს ბატონს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა რევაზს... მოველ ჩემი ნება-წადილით და მოგყიდე ქვეშს რაც ჩემი წილი და

ბარათათ გამოყოფილი მამული არის ჩემის წილის ციხითა, ბიძინასშვილის მამული, აბიათარაშვილის მამული, ლარიბაშვილის მამული, დემეტრასშვილის მამული, ირხოშას-შვილის მამული, ფოლადაშვილის მამული, არასნას-შვილის მამული, ყორხმაზაშვილის მამული, ოსეფაშვილის მამული. ესენი აყრილისა და ზედ მსახლობელის კაცით წყლითა საწყლისპირითა, საოხჩითა, საფაცრიითა და საფიჩხულითა, წისქვილითა, სახლ-კარითა, ქვევრ-მარნითა, კალო-საბძლითა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გასავლითა. ამისი სამძღვარი ერთი მკარე, ძველი ქვეშისაკენ აკუნინდამ რომ ღელე ჩამოვა ოთარისა და წორაბის ვენახის შუა, ის არის; მეორე მხარე, აკუნინდამ რომ სერი ჩამოვა, აკაურთის მიწებს მიაღვება, წყალს გაღმა ყიშლალის ვენაქებისაკენ რომ შუაზედ ერთი გორა არის, რაც კენჭისყარის სერი ჩაიტანს იქამდი; ზეთ მხარს, უშეენისაკენ ყიშლალიდამ რომ გზა ჩამოვა ღელეზედ, ერთი სამძღვარი ის არის; ერთი იქითი მხარი, გეტის წყალი რომ ჩამოვარდება, ესენი უკლებლივ თქვენთვის მომიყიდნია. მე ქვეშ ერთი ისრის დასასობი ადგილი აღარა მაქუს. ავიღე ფასი უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. არ დარჩა რა ჩემი თქვენზედა..." (76.295).

როგორც დავინახეთ, მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია. ყველაზე საინტერესო ეს საბუთი იმითაა, რომ აქ საუბარია იმდროინდელ ტოპონიმიკაზე და ქვეშის ტერიტორიაზე დასახლებული მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. როგორც ირკვევა, აქ ამ დროს მხოლოდ ქართული მოსახლეობა ცხოვრობს.

აქვე გვინდა, ერთ ჩვენთვის ძალზე საინტერესო ცნობასაც მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ალ. ორბელიანი წერს ორბელიანთა საგვარეულოს წარმომადგენლების ეკონომიკურ მდგომარეობაზე XIX საუკუნეში და აღნიშნავს: „პირველი სახლის (იგულისხმება ყაფლანიანთ სახლის პირველი ოჯახი – ასლანიშვილები – ჯ.კ.) დიდი ფულის ვალი მკვიდრობს და არ ვიცი ამათი საქმე როგორ იქნება. მაგრამ აქედან უნდა გამოვირიცხოთ ზურაბის შვილები (პოეტი გრიგოლ ორბელიანი და მისი ძმები – ჯ.კ.)... ამიტომ, რომ მათ გაცემულიც აქვთ ფული არამცთუ ემართოთ“).

როგორც ირკვევა, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დიდი დავა

მიმდინარეობდა ყაფლანიშვილების საგვარეულოში. ამას იმდენად სერიოზული სახე მიუღია, რომ თეიმურაზ II-ს გამეფებისთანავე გადაუწყვეტია მოესპო ეს გაუთავებელი დავა და ბრძოლა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ყაფლანიანთ სახლში და რომელიც გამოწვეული ყოფილა „ავის დროის გამოისად“.

თეიმურაზ II-მ 1744 წელს აღადგინა ყაფლანიანთ „სახლის რიგი“ და ყაფლანიშვილები „ერთმანეთს ნებაყოფლობით ისევ ძმობასა და სახლისკაცობაზედ“ გაარიგა (25.173).

მაგრამ საერთო გაჭირვება მაინც გრძელდებოდა.

1744 წელს იენისში ნადირ-შაჰმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო მისი შვილი ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა. ამასთან ქართლს დაუბრუნდა შაჰ-აბას I-ის მიერ მიტაცებული მხარეები: ლორე, ბორჩალო (ღებუდას ხეობა – ჯ.კ.), ბაიღარი. აღმოსავლეთ საქართველო ფაქტიურად ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

1745 წლის 1 ოქტომბერს კი, შაჰისავე თანხმობით, თეიმურაზი ქრისტიანული წესით ქართლის მეფედ ეკურთხა (ამ კურთხევის ცერემონიალის შესახებ ზემოთ უკვე მოვიტანეთ ინფორმაცია პაპუნა ორბელიანის ნაშრომიდან). ეს პირველი შემთხვევა იყო XVII საუკუნის დამდეგიდან, რომ ქართლის სამეფო ტახტზე მეფე ქრისტიანობით ჯდებოდა (9.232), მაგრამ ეს არ ყოფილა ირანის შაჰის წყალობა. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, „ეს იყო ქართველთა ასორმოცდაათწლოვანი მეღგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება“ (77,183).

1747 წელს ნადირ-შაჰმა ირანისა და მისი ბატონობის ქვეშ მყოფი ქვეყნების მოსახლეობას აუტანელი გადასახადები შეაწერა, რამაც მთელ ქვეყანაში მანამდე არნახული უკმაყოფილება გამოიწვია.

თეიმურაზ მეფეს ისლა დარჩენოდა, გასცლოდა თბილისს, იგი თავისი ოჯახის წევრებით, მსახურებით, ყველა დიდგვაროვანი მოხელით, თავიანთ ოჯახებიანად ანანურში დადგა. „ქვეყანა ასე ირყეოდა ყაენის (ნადირ-შაჰის – ჯ.კ.) შიშისაგან, რომ ქართლის ქვეყანაში გამაგრების იმედი აღარავის ჰქონდათ, მაგრამ პაპუნა ორბელიანმა და ყაფლან თავის მამულის დაკარგვას ისევ თვისის თავის

წახდენა ირჩივეს, გამოსთხოვეს ბატონს ფირმანი და წამოვიდნენ თავისსა მამულსა შინა. მოვიდნენ პირველ ხრამის ხეობასა შინ და სადაც ციხე იყო, ანუ გალავანი, გაამაგრეს და მისცეს იმედი (გლეხებს – ჯ.კ.): „თუ რომელი აბზავი მოხდეს მტრისაგან, თქვენთან დავიხოცებით“. აიყარნეს სახლეულითურთ და მივიდნენ თავისსა სამკვიდროსა ციხესა დმანისისასა. აჰყარეს მამული თვისი და შემოიკრიბეს ციხესა შინა, აგრევე აჰყარეს ტაშირის ქვეყანა და შემოიყვანეს ციხეში. იყვნენ პაპუნა და ყაფლან ორბელიანები დღე-დაღამ მატებასა სიმაგრესა ციხისასა და აძლიერებდენ ყმათა თვისთა და ყმათაც ეს ეიმედებოდათ, რომ რახან ცოლ-შვილით ესენი (ორბელიანები – ჯ.კ.) აქ დაიგულეს, გული დააჯერეს, ერთგულებასა ზედა, რადგანაც ყაენს ლორის ხანისათვისაც არბაბის თეთრი ბევრი ეთხოვნა და გასცლოდა ხანი ლორიდან. დარჩომილიყო ქვეყანა უპატრონოდ, მოვიდნენ ქეთხუდები ლორისა დმანისს და შემოეხვეწნენ ამათ: „ჩვენ მუდამ ორბელიანებთან ოჯახის შემწეობით ვდგომილვართო და ახლა ასე უპატრონოდ ვართო და მოგვიარეთო“. წავიდა მაშინვე ყაფლან ჯარით და შევიდა ციხესა ლორისასა და დაშვიდნა ქვეყანა ლორისა, შეაყენა კაცნი თვისნი ციხესა და თითონ მოვიდა დმანისს“ (40.122).

ამასთან ერთად, ორბელიანებმა საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს ამ მხარეში მოთარეშე ლეკებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ ქვეყანა დაეწყნარებინათ და ნადირ-შაჰის შესაძლო გამოლაშქრების წინააღმდეგ მომზადებულიყვნენ, გადაწყვიტეს ლეკებთან საერთო ენა გამოენახათ და „გაგზავნეს კაცი და სადა ლეკი იყო, ქართლის ქვეყნებში, რომ, დიახ, ბევრს ახდენდნენ და წინააღმდეგაც აღარავინ ჰყავდათ. ეს ლეკის ჯარი სულ შემოირიგეს და დმანისს მოიყვანეს, რაც უფროსნი კაცნი იყვნეს, დამოსეს ხალათითა, მისცეს ჯარს ულუფა და დააყენეს სოფელსა ჩინჩახურს (ამჟამად სოფ. პატარა დმანისის მახლობლად მდებარე ნასოფლარი – ჩინჩხურა – ჯ.კ.) ციხისა მახლობელ და აღარსად გაუშვეს ლეკნი სამტროდ“ (40.122).

ლეკების შემოირიგება განპირობებული იყო იმითაც, რომ ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში ლეკები, ბუნებრივია, ქართველებს დაუდგებოდნენ გვერდით, ე.ი. ირანის წინააღმდეგ მოსალოდნელი ბრძოლებ-

ისათვის მზადებაში ლეკების შემორიგება ადვილი გახდა, რასაც ვერ ვიტყვით ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისას, სადაც ლეკები ყოველთვის ოსმალების მოკავშირენი იყვნენ (6.33).

პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „აგრევე ყოველნი მყოფნი ქართლისანი და კახეთისანი იყვნენ მზადებაში საომრად და მოელოდნენ ჯვარსა ყიზილბაშისასა, ბრძანდებოდნენ ბატონები (თეიმურაზ II და ერეკლე II – ჯ.კ.) ანანურს (40.122).

ნადირ-შაჰს ჩაუტანეს ამბავი, რომ „თეიმურაზი და ერეკლე უკუვიდგნენო, დაცალეს ქართლი და კახეთი, მთებში ავიდნენო (40.123). ამზე განრისხდა ირანის ხელმწიფე და დიდი ჯარი საქართველოსაკენ დაძრა, მაგრამ მალე შეცვალა ტაქტიკა და ჯარი უკან დააბრუნა იმის შიშით, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ძალას ვერ დათრგუნავდა. „ბევრჯერ ენახა ქართველთ კმალი და თავისი საწადელი ქართლში ვეღარ აღასრულა (40.123).

ნადირ-შაჰის უკან დახვევა გამოწვეული იყო იმით, რომ აჯანყებუბი დაიწყო ირანის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. ქართლ-კახეთს მზარი აუბა ერევანმა, განჯა-ყარაბაღმა, აზერბაიჯანმა. ტახტის მადიებლები ერთმანეთს დაერივნებ. ამასობაში კი ერეკლემ აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშებისაგან გაწმინდა. აღარც „ოსმალობა“ იყო და აღარც „ყიზილბაშობა“, „ქართველობა“ შეიქმნა“ (9.232).

„ქართველობის აღდგენამ“ საყოველთაო ზეიმი გამოიწვია და განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღმავლობის საფუძველი შეიქმნა... საქართველოს გაძლიერება საუკუნოვანი უცხო უღლისაგან მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლების იმედს სახავდა (78.77).

მაგრამ XVIII საუკუნის შუა ხანებში ქვემო ქართლი თანდათან სუსტდება. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ლეკიანობით. ამაზე მეტყველებს 1749 წლის II მაისის საბუთი – „პირობის წიგნი“, რომლის მიხედვით ყაფლანიანთ სახლისკაცები პირობას აძლევენ თავიანთ სახლის უფროსს, რომ „რაც საორბელიშვილოს კაცი იყოს, აზნაურისშვილი, მსახური თუ გლეხი საერთოსი თუ საუფლისწულოსი, ყველა აგაყრევინოთ, დმანისის ციხეში დააყენო, ყველამ ჩვენი კაცი იქილამ ვიშახუროთ, სანამდინ არეულობა იყოს, იქ იყვნენ და რომელმანც შევიძლოთ, დმანისხევში სიმაგრე გავაკეთოთ, იმ ადგი-

ლის გლეხი გავიყვანოთ (დმანისის ციხიდან – ჯ.კ.) და იმ სიმაგრეში დავაყენოთ“ (79.ფ. 229).

ამას სარდლის – დავით ორბელიანის – ღონისძიებაც დაემატა. „დავით სარდლის სისხლით იყო მორწყული, აოხრებული ლეკთაგან სომხითი და აღარსად იყო შენობა. ამან გააკეთა ტაბახმელას კოშკი. ამან გააკეთა კოდაზუდ კოშკი გალავანი, საყდარი დღესაც არის და ქვეშის ციხე გაამაგრა და იქ ზშირად იდგა ორმოცის კარგის ვაშკაცის მსახურებით...“ – წერს XIX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი (80.118).

მასასადამე, მთელი საყაფლანიშვილოს მცხოვრებნი დმანისის ციხეშია თავმოყრილი. საყაფლანიშვილოში შემწყდარია არა მარტო მეურნეობა, არამედ თითქმის სიცოცხლეც კი. თუ XVIII საუკუნის პირველ მესამედში ამ მხარის მოსახლეობა მრავალრიცხოვანი იყო, ახლა, როგორც ჩანს, თითებზე ჩამოსათვლელია დარჩენილან (25.130).

უცხოელთა (ირანელთა, თურქთა) შემოსევების, ლეკიანობის, ფეოდალური შინაომებისა და გლეხთა უსაზღვრო ექსპლუატაციის შედეგად მივიღეთ ის, რომ, როგორც პაპუნა ორბელიანი წერს: „ქორონიკონსა უმე (1757 წ.) დაიცალა საბარათაშვილო სომხიდანმდე ორბელიანთ მამული და ზოგი ავიდა კახეთს, ზოგი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთავოებში აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს. მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და იმ ყარაბულალის შვილები სამშვილდესა შინა (40.139).

ქვემო ქართლის (დაცარიელებული და გაპარტახებული მხარის) ბოლო სარდალი ივანე ორბელიანი იყო – „თამარ ასული ირაკლისა მეორის ცოლისა ანასაგან, რომელიც იყო ასული აბაშიძისა, ესე მიათხოვეს ყაფლანიშვილს ორბელიანს დავითს, რომელსაცა უბოძეს სარდლობაცა. ამისგან იშვა ივანე, სარდლათვე ყოფილი ვიდრე გახსნამდე გუბერნიისა“ (80.115).

ქვეშის ციხეს XIX საუკუნეშიც იყენებენ, მაგრამ არა ქართლის სამეფოს მესვეურები, არამედ ქართლის, საერთოდ, საქართველოს ბატონ-პატრონი რუსეთის იმპერიის მესვეურები. ამის ერთ მაგალითს დავასახელებთ და ამით დაეამთავრებთ ქვეშის ციხის წარსულზე საუბარსაც.

ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ვერ შეეგუა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას, ყველა საშუალებას იყენებდა იმისათვის, რომ რუსეთი აქედან გაეძევებია. აი, ერთ-ერთი ეპიზოდი ამ ბრძოლისა:

„იგი (ალექსანდრე ბატონიშვილი) დაუღალავად მუშაობდა. საქართველოში თუ კავკასიის მთიანეთში მისი აგენტები მრავლად მიმოდიოდნენ, მოწოდებებს ავრცელებდნენ, ოქროს არიგებდნენ, ხმებს არხევდნენ. ქართლ-კახეთში ხმა დაეარდა, რომ ტორმასოვი ყარაბაღში სპარსელებთან ომში დაიღუპაო. საყოველთაო აჯანყება მზადდებოდა და ალექსანდრე ბატონიშვილიც ქართლში შემოსასვლელად ემზადებოდა.

ტორმასოვმა საფრთხე დროზე შეიტყო და სასწრაფოდ საქართველოში დაბრუნდა. ის ქვეშს დადგა, რომ მზად ყოფილიყო, თუ ახალციხის ფაშა ქართლში შემოჭრას გაბედავდა (77.370).

როგორც დავინახეთ, ქვეშის ციხე, მრავალ ქარცეცხლში გამოვლილი, უბერებელი, XIX საუკუნეშიც აგრძელებს ფუნქციონირებას, მაგრამ ახალი მტრის, დამპყრობელის, რუსეთის ხელში.

ქვეშის ციხე და კველი გზები

საქართველო ერთმანეთთან აკავშირებდა როგორც აღმოსავლეთს დასავლეთთან, ისე სამხრეთს ჩრდილოეთთან. მას არაჩვეულებრივი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ეკავა და მისდამი ყველა ახლო თუ შორეული ქვეყანა განსაკუთრებულ დაინტერესებას ამიტომაც იჩენდა. ყველა მათგანი ცდილობდა მის დაპყრობას, რადგან იცოდა, რომ დაეპატრონებოდნენ არა მარტო საქართველოს ბუნებრივ და სხვა სიმდიდრეებს, არამედ პირველ რიგში ისინი თავის კონტროლქვეშ მოაქცევდნენ აღნიშნულ მთავარ დამაკავშირებელ გზებს (6.36).

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ზოგადად ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა, საერთოდ, გზებს, ან რომელ ქვეყანას რომელი გზით უკავშირდებოდა საქართველო. ჩვენი კონკრეტული მიზანი იყო მოგვეძია ყველა ის წერილობითი თუ სხვა სახის ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც შეგვეძლო დაგვედგინა ის გზები, რომლებიც გადიოდნენ ქვეშის ციხესთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გზების ინტენსიური ქსელით იყო დაფარული, წერილობითი წყაროები მათ შესახებ თითქმის არა გვაქვს.

საქართველოს გზების მიმართულებათა დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნას ის წერილობითი ცნობები, სადაც საუბარია ცალკეულ პირთა თუ ლაშქართა მიმოსვლის შესახებ; მატერიალური ძეგლების (ქალაქების, ციხეების, ეკლესია-მონასტრების) ნაშთები. ამასთან ერთად, გზების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს შემორჩენილ ტოპონიმიკას, მაგალითად, „ხიდისაგან“ ნაწარმოებ სხვადასხვა სახელწოდებებს: „ხიდისთავი“, „გატეხილი ხიდი“; აგრეთვე ადრინდელ სახელებს: „ყელი“, „ჩასავალი“, „კარი“, „ზეკარი“, „კლდეკარი“, „შიდაკარი“, „საყარაულო“, „საბაჟო“, „მისაქციელი“ და სხვა.

მთელი საქართველო ღრმა ხევებად დაყოფილი ტერიტორიაა. ერთი ხევი მეორისაგან ბუნებრივადაა მოწყვეტილი და მათი ერთმანეთთან დამაკავშირებელი, შემაერთებელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საგანგებოდ გაყვანილი გზა. ხევთა მეტი თუ ნაკლები რაოდენობა ქმნის ქვეყანას, რომელიც მეორე ქვეყნისაგან ასეთივე ბუნებრივი საზღვრებითაა შემოფარგლული. საქართველო რამდენიმე ასეთ ქვეყანათა კომპლექსს წარმოადგენს, ამიტომ საქართველოში გზანი „უდაბურნი და უგზონი“ იშვიათად შეიძლებოდა ყოფილიყო. ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამ ხევებისა და ქვეყნების მთლიან საქართველოდ გაერთიანება მათ შორის სამიმოსვლო გზების სათანადო განვითარებულობას გულისხმობს, მას ემყარება (31.37).

ასეთ ბუნებრივ არეშია საქართველო ხანგრძლივად ისტორიულ წარსულში, მის საშინაო და საგარეო პირობათა ცვლილებების შედეგად იცვლებოდა გზები: ყრუვდებოდა ოდესმე ცხოველი, ძველად გაყვანილი მაგისტრალები, ჩნდებოდა ახალი გზები, ან კვლავ გამოცოცხლდებოდნენ ოდესმე დაყრუბულ-გაუქმებულნი (31.37).

საქართველოს გზების აკარგვიანობაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვეყნის ძლიერების საქმე. მაღალ დონეზე მოწესრიგებული, მოვლილი გზები ხელს უწყობდა ქვეყნის ძლიერებას. ამიტომ საქართველოს გზების პრობლემა ყოველთვის საგანგებო ყურადღებას ითხოვდა სამეფო ხელისუფლების მხრიდან. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის სახელთან. დავითის ისტორიკოსი საუბრობს რა დავით აღმაშენებლის ქვეყნის აღმშენებლობითს საქმიანობაზე, ერთ ადგილას გადმოგვცემს: „...რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა“ (19.353).

სამეფო ხელისუფლების მხრიდან გზებზე დიდი ზრუნვისა და ყურადღების საინტერესო ცნობაა დაცული XVII საუკუნის მემატიანესთან. კერძოდ, საუბარია ქართლის მეფე როსტომზე: „ხოლო აღაშენა წმიდა კათოლიკე კელესია, მცხეთის გუმბათი და სხუანიცა რომელნიმე მოოკრებულნი ეკლესიანი აღაშენნა და კუალად აღაშენა გატეხილი ხიდი“ (3.4.25).

„გატეხილი ხიდის“ ეს სახელწოდება მემკვიდრეობით გადასულა დღეს არსებულ და მოქმედ ხიდზე; XIX საუკუნეში კი რუსებმა დაარქვეს „წითელი ხიდი“, რადგან მისი თალები წითელი აგურით იყო ნაგები (32.40). ამ ხიდის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შემორჩენილი ნაშთები მოწმობენ, რომ იგი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სახიდე ნაგებობა ყოფილა.

როგორც ცნობილია, უძველესი დროიდანვე გადიოდა აქ ის მთავარი ისტორიული სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთს (აზიას) დასავლეთთან. აქ უნდა გაეწოდებინათ ე.წ. „აბრეშუმის გზას“, რომელიც ჩინეთიდან იწყებოდა და საქართველოს გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე მოდიოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ამ გზის პუნქტები იყო კასპიის ზღვის სანაპიროდან თბილისი-მცხეთა-ქუთაისი-ფაზისი (დღევანდელი ფოთი).

განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველო დასერილი იყო კეთილმოწყობილი გზებით და მკვიდრი ხიდებით, ეს იმ დროს, როცა მისი თანამედროვე ფეოდალური ევროპის გზებზე გაუვალ ტალახებში იფლობოდნენ და თითო-ოროლა ქვის კაპიტალური ხიდი ამშვენებდა მხოლოდ მსხვილ სავაჭრო ცენტრებს (32.40).

აქვე გვინდა ხიდების თაობაზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. ხიდშენებლობაში ძირითადად გავრცელებული იყო ორი სახე – ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდები და ქვის ბურჯებზე (საყრდენებზე) დაყრდნობილი ხის კოჭოვანი კონსტრუქციები (32.40).

„ქართველებმა ჯერ კიდევ საუკუნეთა სიღრმეში პრაქტიკულად იპოვეს ის ყველაზე რაციონალური ფორმა კამარებისა, რომელმაც მათ საშუალება მისცა ხიდების მშენებლობისას ძვირადღირებული სოლისებური ქვების გამოყენების გარეშე და მათი ზედაპირის გულდასმით გათლის მაგიერ აეგოთ მეტად თხელი თალი თითქმის დაუმუშავებელი ფილებისაგან და აეგოთ ისე მკვიდრად, რომ ხიდები დღევანდლამდე დგანან და იწვევენ განცვიფრებას თავისი დამრეცი კამარის გამოსახულების გამო“ (32.41).

„რუსი მკვლევარები (მაგ., ნ. ნადიეჟინი) კი მიუთითებენ იმაზე, რომ ქართველებმა ძალიან ადრე იპოვეს ყველაზე რაციონალური ფორმა კამარებისა, რომელმაც საშუალება მისცა მათ, ხიდები აეშე-

ნებინათ ძვირადღირებული სოლისებრი ფილების გამოუყენებლად“ (33.24).

ქვის თალიანი ხიდები გავრცელებულია მთელ საქართველოში. მაშვერას ხეობაში, ქვეში-ღმანისისაკენ მიმავალ გზებზეც იყო ასეთი ხიდები, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

„ქვისთალოვანი ხიდების შშენებლობა IV საუკუნიდან მაინც უნდა მომდინარეობდეს (33.23). გვინდა სანიშნოდ მოვიტანოთ აქ ორი შესანიშნავი ხიდის – დანდალოს (აჭარაში) და ბესლეთის (აფხაზეთში) მონაცემები. დანდალოს ხიდის სიგრძეა 34.5 მ, სიგანე 2,80 მ (34.12). ბესლეთის ხიდის სიგრძეა 35.0 მ. სიგანე – 4.70 მ (35.269).

„გატეხილი ხიდი მურვან ყრუს ლაშქრობის დროს უნდა დაენგრიათ. დიდი ხნის განმავლობაში სხვა კაპიტალური ხიდი არ ყოფილა, ძველი ხიდის ნანგრევებს და მის უახლოეს ადგილს დაერქვა „გატეხილი ხიდი“ (32.40).

ამ ხიდთან XVII საუკუნეში როსტომ მეფის მიერ აშენებულთან („წითელ ხიდთან“) დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნეში საქართველოში მყოფი ცნობილი გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი თავის „მოგზაურობაში“: „ქციის (ხრამის – ჯ.კ.) გაყოლებით მივედით ქვის ხიდთან, რომელიც ამ მდინარეზეა აგებული. ხიდი ნაშენია ფილაქნებითა და აგურით, ის შემოფენილია ასევე ფილაქნებით. იგი 200 ნაბიჯის სიგრძისაა, ხოლო შუაში სიმაღლე აღწევს 30 ფუტს. შედგება 4 თალისაგან. საძირკველი თლილი ქვისაა, დანარჩენი აგურისა და შებდე რიყის ქვითაა ამოყვანილი, ორივე მხარეს აქვს პატარა ფუნდუკი მგზავრთათვის, შუაში, აღმოსავლეთ მხარეზე, არის კიბე, რომელსაც ჩაყვავართ ღია ოთახში. როსტომ მეფემ ის ააშენა შედარებით დაბალი, დანგრეული ქვის ხიდის ნაცვლად, რომელსაც მდინარის ორივე ნაპირზე ჰქონდა თითო ქარვასლა. ახლაც ჩანს ძველი ხიდის ნანგრევები, რომელიც ახლისაგან დაახლოებით 200 ნაბიჯზე იმყოფება, აღმოსავლეთით. ამიტომ ეძახიან გატეხილ ხილს (დანგრეულ ხიდს)“ (36.71).

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ მოვიტანეთ სხვადასხვა ინფორმაცია, რომ უფრო ნათელი იყოს და აღსაქმელად ადვილი გახდეს გზათა

მშენებლობის საქმე ძველ საქართველოში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავდნენ საქართველოს მესვეურნი გზებზე.

არანაკლები საქმე იყო აშენებული მაგისტრალების მოვლა. ამასთან დაკავშირებით, შემონახული გვაქვს რამდენიმე საინტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ ვის ავალებდნენ გზის მოსვლას. ვახტანგ მეფის კანონთა წიგნში „დასტურლამალში“ ასეთი ცნობაა დაცული: უნდა უთაონ რევიშვილებმა – წრერელთ, ნახშირისგორელთ, კვესელთ, და შავწყლის გზა უნდა შეინახონ (37.532); „უნდა უთაონ საგინაშვილებმა თვეთის მამულთ, თარხნის მამულმა – ოძელთ, ცხირელთ – გოსტობის გზა. კავთისხემა, წინარეხმა და საქვათხეობამ – თავეთის გზა... ზუმბულიძეებმა კარსანი და ხიდი. მუხათგვერდელთ, ნაქულბაქელთ და დიღმელთ – ვიწროები და მუხათგვერდის გზა“ (37.532).

ასეთი პრინციპით ყოფილა აგებული ყოველთვის გზების მოვლის საქმე საქართველოში. საერთოდ, გზების მოვლა-პატრონობა ძალიან მძიმე ტვირთად აწვა გზის მიმდებარე მოსახლეობას. ამასთან ერთად გზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა შეწუხებული იყო მგზავრთა მიერაც, თუმცა, მათთვის სათანადო გასაჩერებელი ადგილები (ფუნდუკები) შენდებოდა (6.40).

განსაკუთრებით მძიმე იყო მოსახლეობის მდგომარეობა მტრის შემოსევის დროს. პირველ რიგში აწიოკებას გზასთან მცხოვრებნი განიცდიდნენ. ამ მხრივ მოსახლეობას განსაკუთრებით მონღოლთა ბატონობის პერიოდში გაუჭირდა (სპეციალური გადასახადი), რამაც გამოიწვია გზასთან მყოფი მოსახლეობის აყრა და სხვაგან წასვლა. ამან თავისთავად გამოიწვია სავაჭრო გზა-შარების გაუდაბურება. ამით იმის თქმა კი არ გეინდა, რომ ეს პროცესი მუდმივი იყო, გზების მეტ-ნაკლებად მოვლა-პატრონობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათანადოდ იყო მოწესრიგებული, იმაზე მეტყველებს ზემოთ მოყვანილი ადგილები „დასტურლამალიდან“.

ახლა უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, კერძოდ, იმ გზებზე, რომლებიც ქვეშის ციხესთან გადიოდა.

წერილობითი წყაროებიდან მოვიძიეთ გაბნეული ცნობები, რომელთა საშუალებით დავაზუსტეთ აღნიშნული გზები.

თბილისიდან მთავარი გზები მიემართებოდა შიდა და ზემო ქართლის, კახეთის მიმართულებით. ერთ-ერთი მთავარი გზა კი მიდიოდა ქვემო ქართლისაკენ.

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი პროვინცია იყო. წერილობითი ცნობები და ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთები (ქალაქები, ციხეები, სასახლეები, ფუნდუკები, ხიდეები, ეკლესია-მონასტრები) ერთხმად მოწმობენ, რომ იგი კულტურულ-ინტენსიური ცხოვრებით საქართველოს სხვა მხარეებს წინ უსწრებდა.

თბილისიდან ქვემო ქართლისაკენ გზები კოჯრისა და კალას კარით გადიოდა, თბილისიდან გზა ადიოდა ტაბახმელაზე, იქიდან კი კოჯრამდე, შემდეგ კი ვაშლოვანისაკენ დაუხვევდა, მეორე გზა კი კოჯრიდან მანგლისისაკენ მიემართებოდა.

ვაშლოვანიდან ფარცხისამდე გზა მიდიოდა ასურეთ-ენაგეთზე. ფარცხისში კი გზა ორი მიმართულებით ყოფილა – ერთი გზა ალგეთის პირზე ბირთვის-ტბისისაკენ მიდიოდა, მეორე კი ფარცხისიდან სამება-ზოვრეთ-დაღეთზე გავლით ქვემო ქართლის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ცენტრში სამშვილდეში შედიოდა. აქედან გზები კვლავ იყრებოდა. ერთი გზა მიდიოდა მანგლისში ორთაშუა-თეთრიწყარო-გუდარეხზე გავლით, მეორე – თრიალეთში. მესამე – ზურტაკეტში (ყარაბულახში – შავ წყალზე).

სამშვილდედან ერთ-ერთი მთავარი გზა ქვეშის ციხისაკენ მიდიოდა. ქვეშის ციხეს გაივლიდა, ხილით გადიოდა მდ. მაშავერაზე და კაზრეთ-ბალიჭის გავლით დმანისში შედიოდა.

სამშვილდე-ქვეშის გზის შესახებ ცნობა დაცულია „მატიანე ქართლისაის“ ავტორთან: „1065 წელს ალფარსლანმა (თურქ-სელჩუკთა სულთანმა – ჯ.კ.) საქართველოში ლაშქრობის დროს ქართველთა მეფე ბაგრატ IV-ს დისწული სთხოვა ცოლად, რომელიც კვირიკე სამშვილდარ-ძორაკერტელის ძმისწული იყო. კვირიკიანთაგან (ე.ი. სომეხი ბაგრატიუნისებრთაგან) უარი მიიღო ამაზე. განრისხებულმა მეფე ბაგრატმა „იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კურიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქვეშის ჭალასა, და აცნობეს ბაგრატს“ (19.307).

მემატიანის ამ მონათხრობში ჩვენთვის საინტერესოა ის, თუ სად

შეიპყრეს სომხეთა მეფე თავის ძმასთან ერთად, შეიპყრეს ქვეშთან, ე.ი. ისინი მიდიოდნენ სამშვილდეში მიმავალ გზაზე, რომელიც ქვეშის ციხესთან გაივლიდა, ხოლო ქვეშთან მიდიოდნენ სომხეთიდან მომავალი გზით, რომელიც დმანისს გამოივლიდა.

ქვეშიდან დმანისისაკენ მიმავალი გზის შესახებ ცნობებს გვაწვდის სამართლის ძეგლებიც: „მასუკან მოვიდნენ ორნი მამა-შვილნი (ყაფლანიშვილები – ჯ.კ.) ქვეშის ციხეში. ჩვენ დმანისს გახლდით (მიმართავენ ერეკლე მეორეს – ჯ.კ.), გამოგვისია რევაზ და ოთხნი ძმანი კიდევ დაგვიჭირა... მოგვიყვანა და ოთხნივე ძმანი (ალიხანს, თბილისის ბეგლარბეგს – ჯ.კ.) მიგვცა დასახოცად. დმანისიდან რომ ქვეშს ჩამოგვასხა, იქ ერთი თვე მეტი შეგვინახა“ (38.349).

იგივე საბუთი ერთ ადგილას უფრო მეტად მიგვანიშნებს ქვეშიდან დმანისისაკენ მიმავალ გზაზე: „ყაფლან, რასაკვირველია, გაფრთხილდა, მოვიდა და სამშვილდის პირდაპირ ჩამოხდა, რაც ლეკი და ქართველი ჰყვანდა, იქ დააყენა... მეორე დღეს თვისი კაცნი წაასხა და დმანისს წავიდა. ქვეშის ახლოს რომ მივიდა, სარდალი წინ გადმოდგა... სარდალი იქ დარჩა (ქვეშის ციხეში – ჯ.კ.) და ყაფლან დმანისს მივიდა (38.354).

ვფიქრობთ, ძალიან ნათლად არის გამოკვეთილი სამშვილდიდან ქვეშისაკენ მიმავალი გზა – „სამშვილდიდან დმანისს წავიდა და ქვეშს რომ მივიდა“, ე.ი. სამშვილდიდან დმანისში რომ ჩასულიყო, ქვეში უნდა გაეელო.

თბილისიდან მიმავალი ერთი გზა მარნეულსაც გაივლიდა, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე რატევეანის გავლით ქვეშის ციხეში ჩადიოდა, ხოლო ქვეშის ციხიდან ერთი გზა სამშვილდისაკენ, ხოლო მეორე გზა დმანისისაკენ მიდიოდა.

კოჯრის ციხიდან გზა ვაშლოვან-მარაბდის გავლით მარნეულში, ლომთაგორას ჩადიოდა, ლომთაგორის ციხე დიდ გზაგასაყარზე იყო (31.316).

აქედან ერთი გზა, მდ. ხრამის გადაკვეთის შემდეგ, მდ. მაშავერას მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა ქვეშისაკენ.

მარნეულიდან პირველი მნიშვნელოვანი პუნქტი ნახილური იყო. ნახილურ-ქვეშის გზაზე მიუთითებს XVII საუკუნის (1662 წ.) საბუ-

თი - „განჩინება ბარათაშვილთა საქმეზე“. აქ ერთ ადგილას წერია: „...ამ სამძღურითა: აკურთიდაძე (აკაურთა - ჯ.კ.) რომ საქალაქე (ანუ თბილისში მიმავალი - ჯ.კ.) შარა (გზა - ჯ.კ.) გამოვა, ავაზნის წყაროს ძირს გამოივლის და დისეულის პირს მოადგების, გზას ქუეთი იოთამაშვილებისა არის და გზა ზედათი აბაშიანთი“ (39.121).

ეს გზა რატევანზე აღიოდა, მოხსენიებულია „რატევანის ციხე“ (40.17). ქვეშიდან კი, როგორც აღვნიშნეთ, დმანისისაკენ მიდიოდა. იგი კაზრეთში გაივლიდა. მდ. მაშავერაზე ქვის ხიდი ყოფილა. ამ ხიდის შესახებ ცნობა გვაქვს ვახუშტისთან: „...სატრედოს, მაშავერაზედ, შენი (აშენებული - ჯ.კ.) არს კიდი ქვითკირისა ზ-თუალ (შვიდი თვალი - ჯ.კ.), წყალდიდობისათვის. აქა არს ჭალა, ამას ზეთ არს დისეულის მინდორი უწყლო“ (1.316).

„ქვეშის ახლოს თბილისიდან მომავალ გზას გამოეყოფოდა ერთი შტო, რომელიც მაშავერას მარცხენა ნაპირს აჰყვებოდა და ეწ. ქვახერეტილით, აბულბუგით და სოფ. დიდი დმანისით აღიოდა დმანისის დღევანდელი რაიონული ცენტრისაკენ, დიდი დმანისის გაულის შემდეგ კი ამ გზიდან ერთი გზა გადაუხვევდა. ქარაფით ჩადიოდა მაშავერას ხეობაში და უერთდებოდა მთავარ გზას, რომელიც ხეობიდან ამოდიოდა ქალაქ დმანისთან (41.327-328).

მარნეულიდან ერთი მთავარი გზა შულავერში ჩადიოდა, ხოლო აქედან მიემართებოდა მდ. მაშავერას მარჯვენა ნაპირზე დმანისისაკენ ბოლნისის გაულით. ამ გზის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ზემოთ მოხსენიებული გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. ერთ ადგილას თავის „მოგზაურობაში“ იგი წერს: „31 მაისი. მე გავათიე შულავერში... დაყინებით მოვითხოვდი გამგზავრებას დამბლუტში... დღესვე ადრე გავეშურე შულავერიდან... გზა მიდიოდა დისეულისაკენ და 1-2 საათის შემდეგ ვიყავით უკანასკნელ სომხურ სოფელში, ყოშა-ქილისაში, ამჟამად ის იყო დაცარიელებული, რადგან მთელი მოსახლეობა ასულიყო მთაში (თურქების შემოსევის გამო - ჯ.კ.)... აქედან ჩვენ გავყვეით 1-4 საათი მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს პარალელურად ზევით. იქიდან ქცია მიედინებოდა დასავლეთით - ჩრდილო-დასავლეთით, მას სათავე აქვს თრიალეთში.

შემდეგ აყვავით მაშავერას მარჯვენა ნაპირს ზევით და ერთი საათის შემდეგ მიველით მასზე მდებარე, ოთხკუთხა ფორმის მქონე ჭაპალის ციხეში. აქ მდინარეზე არის ქვის (თაღოვანი – ჯ.კ.) ხიდი“ (36.81).

ნახევარი საათის სავალზე, ზევით, მაშავერას ჩრდილოეთ მხარეზე იყო სიმაგრე ორანტა, სადაც არის აგრეთვე ქვის ხიდი. შემდეგ შეველით ფოლადაურზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან მიედინება და ორანტის ზევით ერთვის მაშავერას მარჯვენა მხრიდან. 1-2 საათის მგზავრობის შემდეგ შეგვხვდა ლართისოფლის ნანგრევები, და კიდევ 1-4 საათში წულურაშენისა, ამის შემდეგ გზიდან ორი ვერსის მოშორებით, მდ. ფოლადაურზე დავინახეთ ბოლნისის ციხე. მის პირდაპირ, მდინარის ნაპირზე, წინათ უდენიათ სპილენძი.

1-4 საათის შემდეგ დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთით შეველით სოფელ ჩორში, სადაც იყო სპილენძისა და რკინის ძარღვი. ის არის სამი საუენის სიბძლავრისა.

ჩორიდან დასავლეთით 1-2 საათში ვიყავით მაშავერას მარჯვენა ბალიჭას ხევზე, რომლის შესართავის პირდაპირ ანუ მაშავერას მარცხენა ნაპირზე დგას მთავარი ციხე გუეჩი (ეს გუეჩი არის ქვეშის ციხე. ეტყობა, სწორად ვერ ჩაიწერა მისი სახელი. მის მიერ მოხსენიებული ბალიჭას ხევი კი იგივე კაზრეთის ხევი, სხვა ციხე, თანაც „მთავარი სიმაგრე“ ამ ხევის პირდაპირ, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე არ გვაქვს. ამდენად, სადავო არ უნდა იყოს, რომ გერმანელი მოგზაურის მიერ შორიდან შემჩნეული და დასახელებული „გუეჩი“ იგივე „ქვეშია“ (6.47).

აქედან გავემართეთ დასავლეთისაკენ (ბალიჭიდან – ჯ.კ.) და 1-2 საათში ვიყავით მდინარე დამბლუტის ხევზე. მის ახლოს, მისვე შესართავზე ზევით მაშავერას მარჯვენა ნაპირზე მიველით სოფ. დმანისში... დამბლუტის სამხრეთით 5 საათის სავალზე არის სომხური, ასევე მთლად გაპარტახებული მხარე ტაშირი (36.81).

მართლაც რომ ძალზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული. ასეთი ცნობები საქართველოს ძველი გზების შესახებ იშვიათად გვაქვს. გიულდენშტედტის საქართველოს სხვა გზებზეც აქვს ანალოგიური ინფორმაცია.

ამასთან ერთად გერმანელი მოგზაური აღწერს ბუნებასაც: „შუ-

ლავერიდან ბოლნისამდე მიდამო გაშლილია, აქედან დაბლუტამდე ტყიანია...“ (36.81).

როგორც დაეინახეთ, ქვეშის ციხე გზაჯვარედინზე მდებარეობდა; აქ შემოდრიოდა და აქედან გადიოდა ფაქტიურად ოთხი მიმართულების გზა: სამშვილდიდან, რატკენიდან, დმანისიდან და ბალიჭა-კაზრეთის გავლით მდინარე მაშავერაზე არსებული ხიდით და დმანისიდან სოფ. დიდი დმანისი-აბუღბეგით, მაშავერას მარჯვენა ნაპირით.

გზების ასეთი სიუხვე მეტყველებს ქვეშის ციხის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. „საერთოდ, ციხე ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) გზას თავისკენ ეწეოდა“ (42.307). და მითუმეტეს ისეთი მთავარი ციხე მაშავერას ხეობაში, როგორც ქვეშის ციხე იყო. ამას ისიც ემატება, რომ აქ საბაჟოც ყოფილა. ქვეშის ციხესთან „საბაჟო“ მოხსენიებულია ბაგრატ მეფის 1468 წლის სიგელში, რომელიც მან ჯავახიშვილებს (თორელთა ერთი შტო) უბოძა: „...სიგელითა ამით შევიწყალე და ტუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან... მათივე მკვიდრი მამული, მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეში ციხითა, ბაჟითა და მისითა მიდგომითა, და სოფელი რატკენი...“ (43.40).

„ქვეშის ციხის მიღება „ბაჟითა და მისითა მიდგომითა“ ნიშნავს იმას, რომ ჯავახიშვილებს შეეძლოთ კონტროლი გაეწიათ მაშავერას ხეობაში (25.10).

ქვეშის ციხის თავდაცვითი სისტემა

„ქვეშის ციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰაეითა და თუალთათჳს მშუენი“ XII (1.316). „ეს საკმაოდ დიდი ციხე გზის პირას მდებარეობს (მაშავერას მარჯვენა ნაპირას), მაღალს, ობლად ამართულ კლდეზე, ოთხივე მხრით თითქმის სრულებით მიუვალი) და გარედან საუცხოვო ლაბაზ სურათს წარმოადგენს.

შესვლა ციხეში მხოლოდ აღმოსავლეთიდან შეიძლება, პიტალო კლდეში გაჭრილი მოკლე გვირაბით. შესავლის ზემოთ კლდეში გამოჭრილია მოგრძო ოთხკუთხა ბუდე, რომელშიც, ეტყობა, წარწერიანი ფილაქანი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. მართლაც, ადგილობრივნი ამბობენ – ციხეს წარწერა ჰქონდა, რომელშიც ორბელიანი იხსენიებოდაო.

ციხის კედლები, რომელთა სისქე საშუალოდ 1,15 მ-ს აღწევს, გვერდები შემოსილია ჩამოტეხილი ქვით ქვითკირზე, ხოლო შიგნით ამ პერანგში ჩასხმულია კირ-დულაბი. პერანგის ქვებს კარგი თარაზული წყობა აქვს. შიგნით კედლებს ზოგან დაბალი ხარისხი მიჰყვება. აქ შერეულია აგურის წყობაც. ზოგან ხის კოჭების ნაშთები ჩანს. ბევრია სათოფურები. ეტყობა, რომ ციხე არაერთგზის შეუკეთებიათ და არა მგონია, რომ აქ უძველესი ხანიდან იყოს რაიმე გადარჩენილი. გარდა შესანიშნავი 1,5 მ-ის სიგანის კიბისა, რომელიც ნაწილობრივ ამოჭრილია შიგ პიტალო კლდეში, ნაწილობრივ კი თლილი ქვითაა ნაგები, და რომელიც, შესავალი გვირაბის ახლოს, ციხის მეორე სართულში ადის“ (44). აი, ასე გადმოგვცემს ქვეშის ციხის შესახებ თავის შთაბეჭდილებას პირველად – 1937 წელს – ნახვის შემდეგ ცნობილი ქართველი მეცნიერი-არქეოლოგი ლევან მუსხელიშვილი.

თამარ მეფის ისტორიკოსი ქვეშის ციხეს უწოდებს „მაგარსა და მტერთაგან უვნებელს“ (3.49).

ქვეშის ციხეზე საუბარს დაეწყო ჩვენი სასიქადულო მეცნიერისა და პიროვნების გიორგი (გოგი) ლომთათიძის სიტყვებით: „ახლა ჩვენს სამშობლოში, საბედნიეროდ, მხოლოდ ნაციზმარებზე თუ ნაცხოვარებით გვიხდება საუბარი: წარსულს ჩაბარდა ის ვითარება, როდესაც მარად მოუსვენებელი ქართველი ერი თავის ძაღლისა და ქონების ძალიან დიდ ნაწილს ახმარდა თავდასაცავ სიმაგრის მშენებლობას და ყოველ ფეხის გადადგმაზე აღმართავდა (ან დროდადრო განაახლებდა) ციხესა და გალავანს თუ არა, ცალკე გოდოლს (კოშკს) მაინც, სამაგრო ნაგებობანი სხვადასხვაგვარი იყვნენ – დანიშნულებითაც და აღნაგობითაც და ისევ ნაირნაირია ახლა ისტორიულ ძეგლებად ქცეული მათი ნანგრევები“ (44.35).

შუა საუკუნეების ქალაქებსა თუ ცალკეული ციხე-სიმაგრეების მშენებლობისას განსაკუთრებული და უმთავრესი ყურადღება დათმობილი ჰქონდა თავდაცვითი სისტემის ისეთ დონეზე მოწყობას, რომ მცირე დანაკარგებით დაეცვათ თავი, ამ პრობლემისადმი მიდგომა სხვადასხვა ქვეყნებში გარკვეულწილად განსხვავებული იყო. თუმცა, შეიძლება ითქვას, ციხე-ქალაქებისა და ცალკეული ციხე-სიმაგრეების მშენებლობისას გადაწყვეტ მნიშვნელობას ყველგან ანიჭებდნენ ბუნებრივ გარემოს, ანუ ისეთი ადგილის შერჩევას, სადაც ნაკლები ენერგია და რესურსები დაიხარჯებოდა და თავდაცვა გარანტირებული იქნებოდა. ამაზე საინტერესო დაკვირვება აქვს როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილს, ასევე დევი ბერძენიშვილსაც: „საქართველოს მრავალრიცხოვანი ციხეების აგებულობას დიდი სხვადასხვაობა ახასიათებს. ეს ძირითადად მათი დანიშნულების მრავალგვარობით აიხსნება. ამას ემატება კიდევ ცალკეულ მხარეთა თავისებურებანი. მშენებლობის ტრადიციები, რომელიც მხოლოდ იქაა და სხვაგან არ გვხვდება, კონკრეტული გარემოც თავის კვალს ტოვებს... მიუხედავად ამისა, ციხეთა აღნაგობაზე მსჯელობით და ცალკეული ტიპების გამოყოფით, ფეოდალური ქვეყნის სხვადასხვა ეპოქის ყველაზე დამახასიათებელ საკითხებს ვაღვებთ.“

შემჩნეულია, მაგალითად, რომ ადრე და შუაფეოდალური ხანის ციხეთა უმრავლესობა საქართველოში აგებულია მაღალ მთასა და ციცაბო კლდეზე, სადაც უადგილობის გამო, შედარებით მცირე ფარ-

თობია მოზღუდული. სამაგიეროდ ნაგებობა სიმაღლეშია წასული; ის ხანგრძლივ ცხოვრებას გულისხმობს“ (42.41; 45.56).

სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა გვიანფეოდალურ ხანაში, როდესაც ციხეებიც და გალავნებიც იგება ადვილად მისასვლელ ადგილებში: თან ისეთი მოცულობისა, რომელიც თავისუფლად დაიტეკდა ირგვლივ მყოფ მთელ მოსახლეობას მტრის შემოსევის დროს“ (42.41; 45.56). თვალსაჩინოებისათვის ძალიან კარგად არის დღემდე მოღწეული ასეთი სახის ციხე-გალავნები ყვარელსა და ქოლაგირაში (მდ. ხრამის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. თამარისთან).

სხვათა შორის, საინტერესო ცნობაა დაცული ამ ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით ერეკლე II-ის მეუღლის დედოფლის წერილში, რომელიც რუსეთის მმართველისადმია გაგზავნილი. „...ქოლაგირი ასის წლის ხარაბა იყო, მაგრამ იმის აშენება ვერ შეიძლეს, კელი არავინ მოჰკიდა; მას უკან მე მიბოძა, უცხოს ქვეყნებიდან ქრისტიანები (აღბათ, ბერძნები – ჯ.კ.) მოვაყვანინე და დავასახლე კომლი – ნე(105)... ამავე ქოლაგირს ქვითკირის დიდი ციხე და გალავანი ავაშენე, ამაზედ რაც ჩემი თეთრი დახარჯულა, ამისი ნუსხები თვითოეულად და სახელდობ დაწერილი მქონდა და ქალაქის წახდენაში (აღბათ აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს გულისხმობს – ჯ.კ.) დაიკარგა. იმის მსახლობელნი მეზობლები იმის შენობაზეც თუმცა მუშათ შემეწივნენ, მაგრამ მე რაც დამიხარჯავს, იმას ვაფასებ. ამიტომ, რომ ბეგარის მუშით ის ციხე და გალავანი არ აშენდებოდა და იმ ჟამად ახალ-ციხის ფაშა ჩვენზედ აშლილი იყო და დაღისტანის დიდი ჯარები ჰყვანდა. დიად მრავალჯერ მოიწადინა ფაშამ და ჯარები გამოუსია იმ ციხის მუშაობის მოსაშლელად, მაგრამ მეც ჯარებით და ულუფით ჯარები დავაყენე და იმის სიფრთხილეში და ჯარების ჯამაგირსა და ულუფაში მრავალი დავხარჯე, რომ ის ციხის აშენების ხარჯი, რაც მე თეთრი დამიხარჯავს, ვარაუდად ხუთი ათასი თუმანი იქნება და თუ ინებებთ კიდევ გაჩხრიკეთ ის ციხე და დააფასებინეთ იმის ხარჯი და ჯარის ულუფა და ჯამაგირი“ (46.299-300).

„...ჩვეულებრივ ცნობილია, რომ აგრესიულად განწყობილი ქვეყნები დაპყრობით ომებს აწარმოებენ, თავის ქვეყანაში ნაკლებად აგე-

ბენ სიმაგრეებს. თავდაცვის მიზნით ციხე-სიმაგრეთა თუ თავშესაფართა აგება ესაჭიროება იმას, ვისაც თავს ესხმიან. სწორედ, ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა საქართველო“ (47.3).

ციხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილის შერჩევას, რადგან უადგილო ადგილას მდგარი სიმაგრე თავის დანიშნულებას ვერ შესრულებდა. ეს განაპირობებდა სტრატეგიულად გამართლებული ადგილის მოძებნას. ციხე მტრის ჯარისათვის გზის გადაძობი, ჩამკეტი უნდა ყოფილიყო. ცხადია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი სიმაგრის გამოყენებას, რაც ჯერ ერთი, აადვილებდა მშენებლობას, და, მეორეც, ძველად ასაღები ხდებოდა (47.4).

„...ციხე მტრისაგან თავდასაცავი საშუალება იყო გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომ მისი უძველესი, მთავარი პირობა მიუვალა იყო, ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი. ამის გამოა, რომ წინაფეოდალური ხანის ასეთი ნაგებობანი, ისევე როგორც ადრე და შუაფეოდალური ხანისა, ამ მოთხოვნებს ძირითადად აკმაყოფილებს.

უკვე წინაფეოდალური ხანის სიმაგრეებსაც ეტყობათ, რომ მიუვალობის გარდა მათ შემქმნელებს სტრატეგიულად საინტერესო ადგილები აურჩევიათ: ქედზე გასასვლელი, გზისპირი, ხეობის ყელი... (45.51).

„მდებარეობა ამ ციხისა (ქვეშის ციხის – ჯ.კ.) ისეთია, რომ მას არ შეიძლება წინათაც დიდი როლი არ ეთამაშნა, ისე რომ ძველი წყაროების დუმილი შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს (18.34).

სიმაგრისათვის ადგილის შერჩევის გარდა ქართველ ოსტატს უნდა გაეთვალისწინებინა მხატვრული მხარეც. მათი შემოქმედების შედეგიც ბრწყინვალეა: ყოველი ნაგებობა შეხამებულია გარემოსთან, ჩასმულია ლანდშაფტში (47.5).

გარემო, სადაც ციხე იყო თუ, საერთოდ, ქალაქი შენდებოდა, სათანადო შენობით (თავდაცვითი თუ სხვა) ბუნებრივ პირობებთან იყო ხოლმე შერწყმული და იგი მთელ ლანდშაფტში თავისებურ სილამაზეს იძენდა, თუმცა ასეთ სიტუაციაში მშენებლობა ძალზე რთული იყო ხოლმე (48.490; 49.42; 50.93).

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ციხე-სიმაგრეები მართლაც რომ საოცარ შთაბეჭდ-

ილებას ტოვებს არა მარტო სპეციალისტებზე, არამედ ჩვეულებრივ მნახველებზე, ადგილის არაჩვეულებრივი შერჩევითა და არქიტექტურული გადაწყვეტით.

ჯერ ახლა ფაქტობრივად დანგრეული ქვეშის ციხე როგორც შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და როგორი სანახავი იქნებოდა ის, როცა სრული, მთლიანი სახით იყო წარმოდგენილი!

ქვეშის ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს არის აღმართული (ტაბ. I, II, III). აქ ამოზიდულია ცალკე მდგომი მთაგრეხილი და ციხის კედლებიც სწორედ მისი ქარაფების თხემს შემოსაზღვრავს. თხემი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ არის მიმართული. სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარე ფრიალოა და აქ ციხე დაახლოებით 30-40 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული კელიდან. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მთაგრეხილი უფრო დამრეცია, ადვილი მისადგომია და ამიტომ ციხის ეს მხარე განსაკუთრებით არის გამაგრებული. სამხრეთისაკენ ბუნებრივი კლდის კედლები ნაკვეთ ტერასებად ეშვება ქვემოთ, მის ძირში საკმაოდ ფართო ბაქანია, რომელსაც შემოზღუდავს ციხის გარე სამხრეთის კედელი. ამგვარად, ციხეს გარედან ორიარუსიანი სახე აქვს — ზედა ციხე მცირე ეკლესიით და ქვედა, სამხრეთის გამაგრებული ბაქანი. ციხე ფორმით ერთგვარ არაწესიერ მართკუთხედს მოგვაგონებს (ტაბ. IV).

ქვეშის ციხე სტრატეგოულად მნიშვნელოვან ადგილზეა აღმართული. აქედან კარგად მოჩანს მაშავერას ხეობის შუა წელი. დასავლეთისკენ იგი გადაჰყურებს კაზრეთის ხეობას და კაზრეთის თანამედროვე დასახლების ნაწილს. სამხრეთით მაშავერასა და ფოლადაურის წყალგამყოფი ქედია (ტაბ. V, სურ. 1), ჩრდილოეთით კი აკონტროლებს სამშვილდისკენ მიმავალ გზას, ძველ ქვეშს, ტანძიას (ტაბ. V, სურ. 2).

ციხის შესასვლელი წარმოადგენს კლდეში გამოჭრილ ვიწრო და გრძელ ტალანს (ტაბ. VI). მავალი „ვეირაბის“ სიგრძე 10.0 მეტრია. დასავლეთის მხარეზე ტალანს მთელ სიგრძეზე მიჰყვება ჩამოსაჯდომი, ქვის მერხი (სიგანე — 0,50 მ), დამრეც იატაკზე კი კიბეების მსგავსი ნაჭდეუებია კლდეში ამოკვეთილი. ტალანის ორივე გასასვლელში საურდულოებია კლდეში ამოჭრილი. თვით ციხის შესასვლე-

ლი მართკუთხაა. კარის ღიობის სიმაღლეა 1,70 მ. ხოლო სიგანე – 1,40 მ.

ციხეს მთელ პერიმეტრზე შემოუყვება გალავანი, რომელიც სხვადასხვა პერიოდშია აშენებული. ეს კარგად შეიმჩნევა მშენებლობაში. ძირითადად შემორჩენილია გვიანშუასაუკუნეებში აგებული კედლები (ტაბ. VII), გალავნის კედლის სიგრძეა 220 მ. კედლის სიმაღლე (უფრო სწორად, შემორჩენილი ნაწილის) – 1,0 მეტრიდან 8,0 მეტრამდე. სიგანე საშუალოდ – 0,90-1,20 მეტრია.

კედლის სიმაღლე და სიგანე დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად ადვილად ხელმისაწვდომი იყო იგი მტრისათვის. მაგალითად, დმანისის ციხეზე ნათლად ჩანს ქალაქის მესვეურთა მოქმედებანი ციხის გალავნის კედლის მშენებლობის საკითხში: „გალავნის კედლის სიგანე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ზომისაა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხრიდან იყო მოსალოდნელი მტრის შემოტევა ციხეზე და ასევე ბუნებრივი თავდაცვითი გარემოს საიმედოობაზე. მაგ., დასავლეთის მხრიდან ციხე ფაქტობრივად მიუღვომელია და ამიტომაც ციხის გალავნის კედლის მშენებლობისას დამპროექტებელს მისი სიგანე მხოლოდ ერთი მეტრით განუსაზღვრავს, მაშინ, როცა სამხრეთის მხარეზე, რომელიც შედარებით ყველაზე უფრო ადვილად მისადგომი იყო მტრისათვის, გალავნის კედლის სიგანე გაცილებით მეტია – 4,40 მ და დამატებით ძლიერი ბურჯებიც აქვს“ (6.57).

ციხეების გალავნის კედლის მშენებლობაში ასეთი პრაქტიკა ყველგან იყო გავრცელებული და არა მარტო საქართველოში. დავასახელებთ ზოგიერთს: სამშვილდის ციხის აღმოსავლეთი გალავნის კედლის სიგანე 1,0 მეტრია, მაშინ როცა დასავლეთის გალავნის კედლის სიგანე არის 6,0 მეტრი. ეს იმიტომ, რომ მთავარ დარტყმას მტრისაგან ციხე დასავლეთის მხრიდან იღებდა. კედლის სიმაღლეც საკმაო ყოფილა – 12,0 მ (51.19); ორმაგი კედლები ჰქონია ვარდციხეს (52.64). გორის ადრეული ციხის გალავნის კედლის სისქეა სამი მეტრი (53.7), სამმაგი კედლები ჰქონია ნოქალაქევს (54.140), აგრეთვე ციხეებს რუსთავში (55.35; 56.50); ორენ-ყალასა (57.112) და ბულგარეთში (58.100).

ქვეშის ციხის გალავნის კედლები ასეთი თხელი (1,20 მ) იმიტომაა, რომ მტრისათვის ადვილი მისადგომი არ იყო და კედლები თავის ფუნქციას კარგად ასრულებდნენ.

გალავნის კედლების სიმაღლე მთლიანი სახით არ არის შემორჩენილი. როგორც აღვნიშნეთ, შემორჩენილი კედლის ყველაზე მაღალი ადგილი 8,0 მეტრია.

ყველგან გალავნის კედლის სიმაღლეს განსაზღვრავდა საშიშროება: თუ გარედან კედელზე ასვლა ადვილად შეიძლებოდა, მაშინ გალავანს მაღალსა და სქელს აკეთებდნენ, ხოლო თუ ძნელი მისადგომი იყო — დაბალსა და თხელს (47.25). ჩვენ გვიჭირს ზუსტად განვსაზღვროთ ქვეშის ციხის გალავნის კედლის სიმაღლე, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი სიმაღლე ათ მეტრს არ აღემატებოდა. ამასთან ერთად, საფიქრებელია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, საიდანაც სხვა მხარესთან შედარებით უფრო ადვილი მისადგომი იყო ციხე, გალავანს კედლები უფრო მაღალი ექნებოდა, კიდრე დანარჩენ სამ მხარეზე, სადაც, ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ციხე პრაქტიკულად მიუვალია. ამას ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ ციხის გალავნის თავზე დამატებითი თავდაცვითი სისტემა ხის კონსტრუქციების სახითაც შეიძლება ყოფილიყო.

თავდაცვითი სისტემის მშენებლობაში ხის მასალა ძალიან ხშირად ფიგურირებს როგორც დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში, ისე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში (59.68. 60.151; 61.29; 62; 63,304).

გალავნის კედელი უშუალოდ კლდოვან ქანზე დევს. ციხეების მშენებლობისას ეს გავრცელებული წესი იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვება აქვს აკად. ა. აფაქიძეს: „...არამაზციხის უძველესი ფენის სიმაგრეთა მშენებლობაში შეიმჩნევა კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი. როგორც ცნობილია, შიდა ციხის ზღუდეები ძირითადად მცირე ქედებს აუყვება. მაგრამ ზუსტად თხემზე ამოყვანილი არ არის, საკუთრივ ქედი შიდაციხის შიგნით ექცევა. ზღუდის ამენების შემთხვევაში საძირკვლის გათხრა ძნელდება. საძირკვლის გათხრისას თავდამსხმელი კლდეც წააწყდება და შიდაციხეში ვერ შეაღწევს“ (64.24).

ასეა აგებული საქართველოს არაერთი ციხე: თბილისის ნარიყალა, ახალციხე, ხერთვისი, აწყური, სნოს ციხე და სხვა მრავალი.

რადგან გალავნის კედელი მთლიანი ფორმით არსად არ არის შემორჩენილი, ამიტომ ძნელია თქმა იმისა, ჰქონდა თუ არა ქონგურები. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ, როგორც ირკვევა, გალავნის კედლებს შეიძლება არ ჰქონოდა ქონგურები. არსებობს მოსაზრება, რომ გალავნის კედლები გარკვეულ პერიოდში ზოგიერთ ციხე-ქალაქში ქონგურების გარეშე შენდებოდა. მკვლევარი ილია ადამია შხეფის ციხესთან დაკავშირებით წერს: „უნდა შევნიშნოთ, რომ შხეფის ციხის გალავანს, რომლის უმეტესი ნაწილი დღემდე თითქმის კარგადაა ირგვლივ შემორჩენილი, ქონგურები არსად არა აქვს, ისინი დიუბუას მიერ შესრულებულ ნახაზზედაც არ შეინიშნება, როგორც ირკვევა, ქონგურები მას საერთოდ არ ჰქონია. არა მარტო შხეფის ციხეზე, არამედ კოლხეთის ტერიტორიაზე შემორჩენილ ციხესიმაგრეთა („ჯიხეების“) უმრავლესობაზე ქონგურების არსებობის შემთხვევები ჯერჯერობით დამოწმებული არსად არაა. ეს უნდა აიხსნას კოლხეთის ციხესიმაგრეთა თავისებურებებით“ (65.16).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, ქვეშის ციხის გალავნის კედლების თავზე დამატებითი თავდაცვითი სისტემა ხის კონსტრუქციებით ყოფილიყო მოწყობილი.

გალავნის კედელი ფაქტობრივად ნაგებია ქვიშაქვითა და ბაზალტით დულაბზე. კედელი ყველგან დევს უშუალოდ კლდეზე (ტაბ. II-VIII). როგორც აღვნიშნეთ, ციხე აშენებულია აზიდულ მასიურ კლდეზე. ციხეს აქვს 14 სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბურჯი. ზოგიერთი ბურჯი იმავე დროს კოშკის ფუნქციასაც ასრულებს. ციხეს აქვს სხვადასხვა ზომისა და ფორმის 6 კოშკი, რომლებსაც ფაქტობრივად ყველას გააჩნია ბუხარი.

წერილობითი ცნობებიც რომ არ გექნოდა, ციხის აგებულების მიხედვითაც ადვილად დგინდება, რომ ქვეშის ციხის გალავნის დღევანდელი, შემორჩენილი ნაწილი გვიან შუასაუკუნეებშია აშენებული. ამაზე მეტყველებს სათოფურები (ტაბ. IX). სულ შემორჩენილია 42 სათოფური. ციხე შედარებით ადვილი მისადგომია ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან და ამდენად ლოგიკურია, რომ ფაქტობრივად სათოფურები ამ მხარესაა განლაგებული.

ციხე თავდაცვას ემსახურებოდა, ამიტომ მისი დაცვის საშუალებებს იარაღი განსაზღვრავდა. ციხეში მყოფს გარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ იარაღი უნდა გამოეყენებინა. ადრეულ ხანაში ასეთ იარაღს მშვილდისარი და სხვადასხვა ზომის ქვის სასროლი იარაღი წარმოადგენდა. მათ იყენებდნენ ქონგურებით შემოსაზღვრული ბანიდან და გალავნის საბრძოლო ბილიკებიდან. რაც შეეხება კოშკს, შიგნიდან მის სქელ კედლებში ღრმა და განიერი ნიში უნდა ყოფილიყო, რომ მებრძოლს მარჯვედ ემოქმედნა. ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგ სურათი მკვეთრად იცვლება. ახალმა იარაღმა რადიკალურად შეცვალა როგორც ნაგებობათა ფორმები, ისე კონსტრუქცია (47.5).

ქვეშის ციხის კონსტრუქციაც (ბოლოდროინდელი) თავის ეპოქას დაუმორჩილეს და, ამდენად, მისი გალავნის კედლების ფორმაც წინანდელთან შედარებით განსხვავებული იქნებოდა. ქონგურების და სხვა, თავდაცვის სისტემის ადრინდელი ფორმებიც აღარ გაიმეორეს. გარკვეულწილად ეს ლოგიკურიცაა.

თოფს საქართველოში უკვე XV საუკუნის ბოლოდან იყენებდნენ. მომდევნო საუკუნეებში მათი რიცხვი იზრდება. ამან მშენებლობაზეც იმოქმედა. XVI საუკუნეში ციხეების ყოველ ელემენტში გაჩნდა სათოფე. პირველ ხანებში სათოფეები მცირე რაოდენობით კეთდებოდა, მაგრამ იარაღის გამრავლებასთან ერთად სათოფეთა რაოდენობაც გაიზარდა, მათი ფორმებიც გართულდა (47.5).

ჩვენში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების საკითხი მაღალ დონეზე არ იდგა, ამიტომ მშვილდ-ისარი უცბად ვერ განიღვენა. მათი საბოლოო გამიჯვნა მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში მოხდა (47.5).

მკვლევარის ასეთ მოსაზრებას ადასტურებს ქვეშის ციხის გალავნის კედელში გაკეთებული სათოფურების სიხშირე.

შესასვლელში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემორჩენილია კარისა და ურდულის ბუდეები.

შესასვლელი ყველაზე საინტერესო ატრიბუტია ციხის თავდაცვითი სისტემისა.

შესასვლელის თავზე, გარედან, კლდეში ამოკვეთილია მართკუთხედი, თითქოს წარწერისათვის, მაგრამ წარწერის არავითარი ნაშთი არა ჩანს (ტაბ. VI, სურ. 1).

ამ მართკუთხა ბუდეში ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს მარმარილოს ფიქალი, წარწერებიანი. უფრო სწორად, ეს ფიქალი აქ აღრე ყოფილა, შემდეგ იგი დაუმტკრევიათ და ექვთიმე თაყაიშვილს ეს ნამტკრევები ციხის პატარა ეკლესიაში გადაუტანია. ამჟამად ეს ნამტკრევები არსად ჩანს. წარწერა შვიდ სტრიქონიანი ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილის წარწერა აწყობის შემდეგ ასეთნაირად აქვს წაკითხული:

1. დწ... ყებასა ქე~ს აქათ ჩღმბ = 1742
2. ამირ სპასპეტ სარდალ მ/ს/აჯულთუხუცეს მღივანბეგ [ორბელიანმა ქაიხოსრომ]
3. მოიყიდა ადგილ ესე ქვეშის დუმენი (sic) მოიზლუდა ციხე და გაკაფა კლდე
4. ...იხსნა ნებიტა თვისითა და ბრძანება [თ]ვითმფლობელისა
5. მის სარდა... რევაზ და შემდგომად მიცვალ...
6.ნე სრაპალა
7. ულთ.

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, წარწერა ეკუთვნის მღივანბეგ ქაიხოსროს ორბელიანს და მის ვაჟს რევაზს, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ ერეკლე მეფისაგან ყველა მისი თანამდებობა მიიღო (ექვთიმე თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს წარწერები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43, 1951 წ.). ლევან მუსხელიშვილი გადმოგვცემს „ადგილობრივნი (სოფ. ქვეშის მცხოვრებნი – ჯ.კ.) ამბობენ – ციხეს წარწერა ჰქონდა, რომელშიც ორბელიანი იხსენიებოდაო“ (18.35).

ციხის შესასვლელს და ტალანს მთლიანად ერთგვარი არქაული იერი აქვს, რაც ამ ნაწილის თავდაპირველობაზე მეტყველებს.

შესასვლელის თავზე ოდნავ მომრგვალებული კოშკი უნდა ყოფილიყო აღმართული. მისი ზედა ნაწილი მთლიანად მონგრეულია.

ციხის მთელ პერიმეტრზე არსად არაა შემორჩენილი ქონგურები.

შესასვლელის, უფრო სწორად, გვირაბის გაელის შემდეგ, იქვე დასავლეთის მხარეზე ძირიდან მაღლა, ჩრდილოეთის მიმართულებით, თითქმის შესასვლელის თავზე აღის ქვის კიბე. კიბე 32 საფეხურისაგან შედგება. აქედან ქვედა ოთხი საფეხური ჩვენ მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა. კიბის 16 საფეხური სპეციალურად გათლილი ორ-ორი ქვისაგან არის მოწყობილი, ხოლო ზემოთ 16 საფეხური უშუალოდ კლდეშია გამოკვეთილი (ტაბ. XI).

ქვისაგან გამოთლილი საფეხურების სიგრძე საშუალოდ 1,7 მეტრია, ხოლო სიგანე — 0,35 მეტრი. ზედა, კლდეში გამოკვეთილი საფეხურების სიგრძეა 1,0-1,5 მეტრი. ამ კიბის გვერდით, სამხრეთ-დასავლეთის მხარეზე მასიურ კლდეში გამოჭრილია დასადგომი მოედანი, რომლის სიგრძეა 7,30 მ, ხოლო სიგანე შუა ნაწილში — 1,60 მ.

არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გამოვლინდა კოშკი, რომლის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი (ტაბ. X), იგი აღმოსავლეთ გალავნის კედელშია. იატაკის დონიდან შემორჩენილია მხოლოდ კოშკის ნახევარი მეტრი სიმაღლის კედელი.

არქეოლოგიური მასალა, ფაქტობრივად, არ აღმოჩენილა.

საცხოვრებელი, საკულტო ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა

ქვეშის ციხის ტერიტორიაზე საცხოვრებელი, საკულტო და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები ძალზე მცირე რაოდენობისაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ციხის ფართობი ძალზე მცირეა და მისი რელიეფი არ იძლეოდა ასეთი ნაგებობების აშენების საშუალებას. ძირითადი ნაგებობა აქ უნდა ყოფილიყო ციხის თავისა და იმ ფეოდალისა თუ მეფის საჯდომი-საცხოვრებელი, რომლებსაც თავისი სურვილითა თუ იბულებით უხდებოდათ გარკვეული ხანით ციხეში ყოფნა. ამასთან, ერთად აქ უნდა ყოფილიყო ციხის მესვეურთა გარკვეული მომსახურე პერსონალისა და ციხის დამცველთა სადგომი-საცხოვრებელი ციხეში არსებული ეკლესიის მსახურთათვის და სხვა. ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ზემოთ დასახელებულ მომსახურე პერსონალს თუ ფეოდალსა და ციხის დამცველებს მხოლოდ შიგნით უნდა ეცხოვრათ, მაგრამ გარკვეულ სიტუაციაში (აღყის თუ სხვა მდგომარეობაში) ისინი ციხეში უნდა ყოფილიყვნენ (რა საშუალებაც იქნებოდა).

ციხის ტერიტორიაზე ქვითა და დულაბით აშენებული ნაგებობები ძალიან ცოტაა შემორჩენილი. აქ არსებულ ნაგებობებში, ალბათ, საკმაო მოცულობით იყო გამოყენებული ხის კონსტრუქციებიც.

საერთოდ, ქვეშისა და მის მიმდებარე სოფლებში ძირითადად ქვითკირის ნაგებობები ყოფილა აშენებული: „ხოლო აკურთას და ტანძიას ქვითკირის შენებულებანი მრავალნი“ (1.316).

ვახუშტის ეს ინფორმაცია არის უტყუარი. ამას იგი არა გადმოცემის ან ძველი საბუთების საფუძველზე ამბობს, არამედ თვითმხილველია იმისა, რაც იქ ხდებოდა, მითუმეტეს, რომ გარკვეულ პერიოდში იგი ამ მხარის („მეწინავე სადროშოს“) სარდალიც იყო.

ქვეშის ციხის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ გაითხარა ერთ-ერთი საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ციხეში შესასვლელსა (გვირაბსა) და სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავნის კედელს შორი არის აგებული. ამ ნაგებობას საცხოვრებელთან ერთად თავდაცვითი ნაგებობის ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ნაგებობის კედლებად გამოყენებულია გალავნის კედლები. ნაგებობა ორსართულიანი აღმოჩნდა (ტაბ. XII). პირველი სართულის სიგრძეა 5,85 მ, სიგანე – 2,0 მ, ისიც ბოლოში. შესასვლელში კი 1,0 მ სიგანისაა, სიმაღლეა 1,60 მ. იატაკი თიხატყეპნილია.

ნაგებობას სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელში აქვს სარკმელი, რომელიც მრუდე ფორმისაა. ამასთან, მას ძაბრის ფორმა აქვს. თავში სიგანე და სიმაღლე 0,55X0,55 მეტრია, ბოლოში კი 0,10 მ. (ტაბ. XIV, სურ. 1).

ნაგებობას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარის ღიობის სიგრძეა 1,15 მ, სიგანე – 0,90 მ. შესასვლელს აქვს ორი საფეხური, რომელიც ოთახში ჩადის (ტაბ. XIII, სურ. 1).

მეორე სართული პირველისაგან სათანადო ხის კოჭებით ყოფილა გამოყოფილი. კარგად არის შემორჩენილი კედელში კოჭების თავების დასადები. მეორე სართულის ოთახის სიგრძეა 5,85 მ, ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში არის 3,0 მ. ოთახის სიგანეა 4,70 მ – ოთახის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. შესასვლელიდან 2,40 მეტრის შემდეგ ოთახის სიგანე იზრდება. როგორც აღვნიშნეთ, კოჭების თავების დასადები ადგილი სპეციალურად არის გამოყოფილი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კი უშუალოდ კლდეშია გამოკვეთილი.

ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში მოწყობილია ბუხარი, რომლის სიმაღლეა 1,20 მ, სიგანე – 0,90 მ. ბუხრის სიღრმეა 0,55 მ. ბუხარი თაღოვანია (ტაბ. XIV, სურ. 2).

მეორე სართულს აქვს ერთი სათოფური, რომელიც დამიზნებულია უშუალოდ ციხეში შემოსასვლელზე (ტაბ. XVIII, სურ. 2). მეორე სართულის კედლების, უფრო სწორად, იგივე გალავნის კედლების შემორჩენილი ნაწილის სიმაღლეა 1,15 მ, სიგანე – 0,90 მ.

ციხის ტერიტორიაზე აუცილებლად იქნებოდა სამეურნეო ნაგებობებიც, სადაც პროდუქტები და სხვა რამ იქნებოდა შენახული. მაგრამ ვერჯერობით ასეთი ნაგებობები არა ჩანს.

ციხის ტერიტორიაზე აგებულია ერთი პატარა ეკლესია. ციხეში, რაც არ უნდა პატარა ყოფილიყო მისი ფართობი, აუცილებლად ამუშავდნენ ეკლესიას. ე.ი. ციტადელში, ან, უბრალოდ, ციხე-კოშკებში, ყოველთვის იყო პატარა ეკლესია“ Die kleine Burgkirche (70.316).

ეკლესია აგებულია ციხის დასავლეთ ნაწილში, ყველაზე ამაღლებულ ადგილას (ტაბ. XVII). მისი ზომებია 5,60X3,60 მ (გარეთა ზომები). როგორც ვხედავთ, ძალზე მცირე ზომის ეკლესიაა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ციხის ფართობი მეტ საშუალებას არ იძლეოდა. კედლების სიგანეა 1,0 მ. შესასვლელი ერთადერთი აქვს, ისიც სამხრეთიდან. კარის ღიობის სიმაღლეა 1,70 მ. სიგანე – 0,85 მ.

ციხის ეკლესია დარბაზული ტიპისაა. იგი დგას კლდეზე დაშენებულ უხეში ქვების ფუნდამენტზე. ეკლესიის ფასადები სხვადასხვა წყობით არის ნაგები. დასავლეთის ფასადი დიდი ზომის მოყვითალო კვადრებით არის ამოყვანილი. წყობა ოდნავ არეულია. ფრონტონში აგურია გამოყენებული. ფლეთილი ქვითაა აგებული სამხრეთის კუთხის დიდი ნაწილი. ფასადის ძირში მოზრდილი ფილაა დაქანებული ორი გრებილი ვერტიკალური ლილვით, ლილვებს შორის შეღუნული არეთი. ქვა აშკარად უადგილოდაა ჩადგმული. კედელი უსარკმლოა. ფრონტონის კეხი დანგრეულია. ფრონტონი შემოსაზღვრულია თაროს ფორმის ლავგარდანით. იგი 0,15 მეტრით არის გადმოწეული კედლიდან. ფრონტონის კუთხეებში ლავგარდანი მცირე განაკეცებს ქმნის. ამგვარივე თარო-ლავგარდანი შემოფარგლავს დანარჩენ ფასადებსაც.

ჩრდილოეთის ფასადიც კარგად გათლილი შირიმის ქვებით არის ამოყვანილი. წყობა კარგია. ფასადის ზედა ნაწილი ფლეთილი ქვით არის აგებული. ფასადის დასავლეთ კუთხეში ძირს კვლავ უადგილოდაა ჩადგმული ჩუქურთმიანი ქვა; იგი სარკმლის საპირის კუთხის ფრაგმენტი უნდა იყოს. განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. კუთხოვანი გრებილი ლილვის შემდეგ ამობურცული რელიეფური სივრცეა, რომელზეც სამზოლიანი ლენტით შექმნილი ისრისე-

ბური ორნამენტებია ამოჭრილი. ეს გეომეტრიული წნული საკმაო ოსტატობით არის შესრულებული.

სამხრეთის ფასადი უფრო მომცრო ქვებით არის ნაგები. აღმოსავლეთ ნაწილში გამოყენებულია მწვანე შირიმიცი. ეკლესიაში შესასვლელი ცენტრშია გაჭრილი. შესასვლელს ზემოთ ძალზე ფართო სარკმელია პარალელური წართხლებით. მის გვერდით უადგილოდა ჩადგმული ადრემუხასაუკუნეების ორნამენტიანი ქვები.

აღმოსავლეთი ფასადი თითქმის მთლიანად ფლეთილი ქვებით არის ამოყვანილი. შიგადაშიგ კვადრებიცაა. ქვები დულაბით ისე გადალესილი, რომ ფასადი ძალზე უსახურად გამოიყურება. უსახურია ვიწრო მართკუთხა სარკმელიც. აქ კედლის წყობა მოგვაგონებს ციხის კედლების ზედა ახალი ფენის წყობას.

შიგნიდან ეკლესია მარტივი ფორმისაა, დარბაზი ვიწრო და მოკლეა, აბსიდი — ნახევარწრიული. კამარა უშუალოდ გრძივ კედლებს ეფუძნება. აბსიდის გვერდებზე თითო მართკუთხა ნიშაა. ნიშაა აბსიდის მხართან ჩრდილოეთ კედელშიც 2,0 მეტრის სიმაღლეზე. კედლები შიგნიდან შელესილია, თუმცა, სადაც შელესილობა ჩამოყრილია, შეიმჩნევა თლილი ქვის ფილები.

ეკლესიას ორი სარკმელი აქვს. ერთი — საკურთხეველში აღმოსავლეთის მხარეზე, მეორე — ეკლესიის კარის თავზე.

ეკლესია ნაგებია ნახევრადდამუშავებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვით დულაბზე. მშენებლობაში გამოყენებულია ადრეული ნაგებობების ქვები. კერძოდ, კედლებში ჩატანებულია ადრინდელი ეკლესიების მნიშვნელოვანი ქვები. ამაზე მეტყველებს შესასვლელი კარის თავზე, უფორმო და უსახო არქიტრავის ქვის შემდეგ, შიგნით, ადრეული (V-VI საუკუნეების) ეკლესიის ქვები, რომლებიც შემკულია ბოლნური ჯვრებითა და ამ ხანის ორნამენტებით (ტაბ. XVIII, სურ. 2, XIX, სურ. 1). ისინი კანკელის ქვები, სტელები ან ქვაჯვრებია. იმავე (V-VI სს) ეკლესიის ერთი ქვა არის მოთავსებული სამხრეთის კედლის თავზე, სახურავის ქვეშ, რომელიც ბოლნური ჯვრითა და ოთხფურცელა ვარდულით არის შემკობილი. (ტაბ. XVIII, სურ. 1).

ეკლესიის გარეთა კედელში (პერანგში) ჩრდილოეთით, როგორც აღვნიშნეთ, ჩატანებულია სამშენებლო მასალის სახით XII-XIII საუკუ-

ნების ეკლესიის სარკმლის კარნიზის ქვა იმდროინდელი ორნამენტებით შემკული.

ყოველივე ზემოთაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ აქ ეკლესია რამდენჯერმე დაუნგრევიათ და ხელმოკრედ აუშენებიათ. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ ეკლესიის კედელში ჩატანებული V-VI საუკუნეების ეკლესიის ქვებია მასში გამოყენებული, რაც მეტყველებს აქ ამ დროს ციხის არსებობაზე, ეს კი წერილობითი წყაროებით და სხვა ფაქტებითაც დასტურდება.

ამჟამად არსებული ეკლესია გვიან შუასაუკუნეებშია აგებული. არ არის გამორიცხული, რომ იგი აიგო მაშინ, როცა განახლდა-აშენდა მთლიანად ციხე ქაიხოსრო ორბელიანის მიერ (XVII ს.).

ქვეშის ციხესთან, გარეთ, ციხის ჩრდილოეთ მხარეზე დგას ერთი ეკლესია, რომელიც წმიდა ნიკოლოზის სახელობისაა (ტაბ, XIX, სურ. 2). ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, საშუალოზე ოდნავ დიდი, წინ წამოწეული შვერილი მრგვალი აბსიდით. აგებულია არცთუ ისე კარგად დამუშავებული მოყვითალო ფერის მოზრდილი კვადრებით. შესასვლელი თითქმის ნაგებობის ცენტრშია. შესასვლელის ზემოთ ორი მაღალი თაღოვანი სარკმელია. ფასადზე აქა-იქ უსისტემოდაა ჩატანებული ჯვრისგამოსახულებებიანი ქვები. მათზე სომხური წარწერებია ამოჩხაპნილი.

დასავლეთი ფასადი სამხრეთის მსგავსია. ძირში უზარმაზარი კვადრებია. იქვე, ამ კვადრებზე, ჩაღრმავებული რელიეფითაა გამოსახული აყვავებული ჯვრები. ფრონტონში თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ქვემოთ დიდი წითელი ქვაა დატანებული. ფრონტონის კეხი მონგრეულია.

წყობის მხრივ არ გამოირჩევა ჩრდილოეთის ფასადიც. აქაც რამდენიმე ადგილას წითელი ქვაა ჩატანებული. წყობის ძირში უადგილოდაა ჩადგმული სტელის ფრაგმენტი მცირე რომბების ხალიჩისებური რელიეფით. აბსიდის მხართან კარია გაჭრილი.

წინ წამოწეული აბსიდი ფლეთილი ქვით არის ნაგები. სარკმლის არე ამომტკრეულია, თუმცა მისი ძირი და წართხლების ქვედა საწყისები შემორჩენილია.

ლავეარდანი ეკლესიაზე შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის ფასადის კუთხეში და მრგვალ აბსიდზე. ეკლესიის სახურავი მთლიანად შემოძარცულია.

ეკლესიის დარბაზი საკმაოდ ფართოა. დაყოფილია ორი წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით, რომელთა ქვედა ძირებად რელიეფიანი სტელეებია გამოყენებული. ერთ მათგანზე ჩაღრმავებული ბოლოებგაშლილი ჯვარია. მეორეს მთელ სიგრძეზე კუთხოვანი ზიგზაგი გაჰყვება, რომელზეც სტილიზებული ყურძნის მტკვნებია ჩამოკიდული მცირე აპრეხილი ზვეულებით. ამ პილასტრთა გვერდების რელიეფები იმეორებენ ერთმანეთს. პირველზე ზიგზაგი – ყურძნის მტკვნები, მეორეზე ჯვრები და ბრიალები. პილასტრთა კონსოლებად თაროებია ნახმარი მაღალი ჩამოკვეთილი სიბრტყით. მსგავსი კონსოლები აბსიდის მხრებზეცაა.

ნახევარწრიული აბსიდი საკმაოდ ღრმაა. იგი ერთი საფეხურით არის გამოყოფილი დარბაზიდან, აბსიდის თაღოვანი სარკმლის ქვემოთ, გვერდებზე თითო ნიშაა, სარკმლები შიგნითკენ ძალზე გაგანიერებულია.

სამხრეთის კედლის მახლობლად დგას ვიწრო და მაღალი საკურთხეველი, რელიეფური ბოლოებგაშლილი ჯვრით წრეში. ძალზე უხეშადაა შესრულებული გადასვლა აბსიდის კედლებიდან კონქის ოვალზე. თვით კონქიც საკმაოდ უხეშადაა ამოყვანილი.

ეკლესიის დათარიღება ძნელდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს X საუკუნის ძეგლის შემდეგროინდელ გადაკეთებას.

ციხის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა წყლით მომარაგებას. აქ წყლის გარედან შემოყვანა გამორიცხული იყო და ამიტომ გადაუწყვეტიათ წყლის ორმოები – რეზერვუარები – ამოეჭრათ უშუალოდ ციხის შიგნით კლდეში. ასეთი რამდენიმე ორმო ამოუჭრიათ (ზოგიერთი დილეგის ფუნქციას ასრულებდა ალბათ). ძალიან დიდი შრომა გაუწვევიათ, რაზეც მეტყველებს თვით ორმოების გრანდიოზულობა (ტაბ. XVI).

№1 ორმო (ყველაზე დიდი) არის ციხის დასავლეთ ნაწილში, ეკლესიის სამხრეთით, დაბლა, ციცაბო კლდეში. ორმოს თაეთან

გარკვეული ფართობი (1,60X1,60 მ) დასადგომად – სამოძრაო მოედანი – გამოკვეთილია კლდეში. ორმოსთან დამაკავშირებელი ვიწრო ბილიკი (საშუალოდ 0,15 მ სიგანის) გამოუჭრიათ დაქანებულ კლდეში (ტაბ. XV, სურ. 1), ეს საცალფეხო გზა ციხის მეორე სართულზე ასასვლელი კიბის ძირიდან იწყება.

ორმოს თავზე, დაქანებულ კლდეზე სხვადასხვა ადგილას გაკეთებულია სპეციალური ღარები, რომლებიც ორმოში იყრიან თავს. მათი მქმეობით ხდებოდა წვიმის წყლის შეგროვება და ორმოში – „ქვევრში“ – ჩაშვება. ორმოს სიმაღლეა 4,0 მ, პირის d – 1,0 მ, ძირის d – 3.70 მ (ძირის ზომებში შეიძლება მცირე ცდომილება იყოს, რადგან ვერ მოხერხდა ძირის განთავისუფლება ჩაყრილი ქვებისაგან).

№2 ორმო მდებარეობს №1 ორმოდან აღმოსავლეთის მხარეზე, მასთან მისასვლელი „ბილიკის“ გვერდით. მისი სიმაღლეა 4,0 მ, პირის d – 1,40 მ, მუცლის d – 3,4 მ. ამ ორმოს ქვევრის ფორმა აქვს, მუცლიანია). ძირის d – 2,80 მ.

№3 ორმო ციხის მეორე სართულზე, ეკლესიის აღმოსავლეთით არის ამოჭრილი კლდეში. მისი სიმაღლეა 2,50 მ, პირის d – 1,0 მ, ძირის d – 3.0 მ. ეს უკანასკნელი შედარებით მცირე ზომისაა.

